პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 197 (10591) | პარასკევი, 24 აგვისტო, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

## დ ღ ე ს ნ ო მ ე რ შ ი ა:

ამხანაგებს კ. ე. ვოროშილოვის, ნ. ა. ბულგანინის, ნ. ს. ხრუშჩოვის მისალმება ამხანაგებს პეტრუ გროზას, კივუ სტოიკას, გ. გეორგიუ-დეჟს ფაშისტური მონობისაგან რუმინეთის განთავისუფლების მეთორმეტე წლისთავის გამო (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი ფინეთში (1-ლი გვერდი).
საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1956 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ. საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობა (მე-2 და მე-3 გვერდი).
მთელი ძალები დავრაზმოთ ჩაის კრეფაში ჩამორჩენის დასაძლევად (მე-3 გვერდი).
სარედაქციო ფოსტიდან (მე-3 გვერდი).
ამხ. რ. ჭილაძე ჯიუტობს (მე-3 გვერდი).
საგასტროლოდ საბჭოთა კავშირის ქალაქებში (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

# საქართველოს სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები სიამოვნებით წაიკითხავენ საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობას რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ, რომელიც დღეს ქვეყნდება. ამ ცნობაში მოყვანილი ციფრები მოწმობენ, რომ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხისა და სხვა მოძმე ხალხთა უანგარო დახმარებით საქართველოს მშრომელები წარმატებით ასრულებენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების, ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლების გრანდიოზულ პროგრამას, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დაგვისახა.

მნიშვნელოვნად განვითარდა სოციალისტური ინდუსტრია. ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობამ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში საერთო პროდუქციის გამოშვება 1955 წლის პირველ ნახევართან შედარებით 13 პროცენტით გაადიდა, აქედან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულმა მრეწველობამ — 10 პროცენტით.

1956 წლის პირველ ნახევარში გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 12 ათასი ტონა თუჯი, 16 ათასი ტონა ფოლადი, 131 ცალი ლითონსაჭრელი ჩარხი, 86 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 6,1 მილიონი პირობითი ქილა კონსერვი, 1,4 ათასი ტონა პირველადი დამუშავების ჩაი, მრავალი ასეული ტონა ძეხვი, რძის პროდუქტები, ათეულ ათასობით მეტრი ბამბის, აბრეშუმისა და შალის ქსოვილები.

ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში ნაყოფიერი მუშაობა წარმოებს საწარმოთა ტექნიკური დონის ამაღლებისა და ტექნიკური პროგრესის განხორციელებისათვის, არსებულ სიმძლავრეთა უკეთ გამოყენებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის. მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ის დიდი შესაძლებლობანი, რომლებიც საწარმოებს მოეპოვებათ, მთლიანად არ არის გამოყენებული. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ზოგიერთმა საწარმომ და სამინისტრომ ვერ შეასრულა ცალკეულ სახეობათა პროდუქციის წარმოების გეგმა ნატურალური გამოხატულებით. მაგალითად, ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტმა ვერ შეასრულა ქვანახშირის ამოღების გეგმა, ქუთაისის მანქანათმშენებელმა ქარხანამ — ექსკავატორებისა და ატნ-10 მარკის ტუმბოების წარმოების გეგმა, კიროვის სახელობის ჩარხმშენებელმა ქარხანამ—ზოგიერთი ტიპის ლითონსაჭრელი ჩარხებისა, თბილისის ფოლადთუჯ სამსხმელო ქარხანამ — თუჯისა და ფოლადის სხმულისა, ორთქლმავალვაგონშემკეთებელმა ქარხანამ — ორთქლმავლების საშუალო შეკეთებისა და სამგზავრო ვაგონების კაპიტალური შეკეთების გეგმა. სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრომ ვერ შეასრულა მცენარეული ზეთის, ფერმენტირებული თამბაქოს, ლუდის წარმოების გეგმა, მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ — საზედაპირე ტყავეულობის და ზოგიერთი სახეობის ტანსაცმლის წარმოების გეგმა, საფეიქრო მრეწველობის სამინისტრომ — აბრეშუმის ძაფლეულისა და ხალიჩის ნაწარმის გამოშვების გეგმა. ზოგიერთი სახეობის ნაწარმის გამოშვების გეგმა შესრულებული არა აქვთ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსა და საქართველოს სარეწაო საბჭოს.

ნახევარი წლის განმავლობაში მუშათა შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში 1955 წლის პირველ ნახევართან შედარებით 8,6 პროცენტით გადიდდა. მაგრამ მთელმა რიგმა სამინისტროებმა ვერ შეასრულეს შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმა. ასეთები არიან: საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო, სატყეო მრეწველობის სამინისტრო, მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო და ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტრო.

შესადარი სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულება მრეწველობაში, რომელიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ექვემდებარება, შემცირებულია 2,9 პროცენტით და მიღებულია 30 მილიონი მანეთის ზეგეგმითი ეკონომია.

ცალკეული სამინისტროები და საწარმოები ვერ ასრულებენ პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებას. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ჯერ კიდევ ცუდად არის დაყენებული შრომის ორგანიზაცია, მაქსიმალურად ვერ იყენებენ მოწყობილობას, არ ინერგება მოწინავეთა გამოცდილება, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები ვერ იყენებენ სოციალისტური შეჯიბრების ქმედით ძალას, სუსტად იბრძვიან იმისათვის, რომ ჩამორჩენილები აიყვანონ მოწინავეთა დონემდე.

ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნე გლეხობა, მტს-ების და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, გულმოდგინედ ახორციელებენ რა პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, ენერგიულად მუშაობენ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. შარშანდელთან შედარებით გადიდდა სიმინდის, თამბაქოს, ბოსტნეულის ნათესი ფართობები. გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტიულობა. ერთი ძროხის საშუალო წველადობა შარშანდელთან შედარებით კოლმეურნეობებში 20 პროცენტით გადიდდა. ამის საფუძველზე რძის დამზადებისა და სახელმწიფო შესყიდვის ნახევარი წლის გეგმა 108 პროცენტით შესრულდა. შესრულებულია აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები ხვნაზე გადაყვანით 27 ათასი ჰექტარით მეტი, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში.

სოფლის მეურნეობის მუშაკებს ეს წარმატებები დამშვიდების უფლებას როდი აძლევს. მათ წინაშე ახლა სერიოზული ამოცანები დგას. მეჩაიე კოლმეურნეობებმა მთელი თავიანთი ძალები უნდა დარაზმონ ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმის შესრულებისათვის, ხოლო ის კოლმეურნეობები, რომლებმაც თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება დაამთავრეს, ამთავითვე უნდა შეუდგნენ საშემოდგომო ხვნა-თესვას, რათა მტკიცე საფუძველი ჩაუყარონ მომავალი წლის უხვ მოსავალს.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ხორციელდება კაპიტალური მშენებლობა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმეში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია. სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა ნახევარი წლის გეგმა მთლიანად რესპუბლიკაში შესრულებულია 91 პროცენტით, აქედან საბინაო მშენებლობაში — 89 პროცენტით. შესრულებული არ არის საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემის ნახევარი წლის გეგმა.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დაუცხრომლად ზრუნავენ ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლებისათვის. ამას მოწმობს საცალო საქონელბრუნვის შემდგომი ზრდა, საბინაო მშენებლობის უდიდესი გაქანება. სახელმწიფო ვაჭრობის ხაზით მოსახლეობას მიეყიდა მეტი საქონელი, ვიდრე 1955 წლის პირველ ნახევარში. მაგრამ მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება მთელ რიგ საქონელზე ჯერ კიდევ მთლიანად ვერ კმაყოფილდება.

სახალხო მეურნეობის განვითარების მიმდინარე წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმების შესრულების შედეგები გვიჩვენებს, რომ საქართველოს მშრომელებმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებები მიიჩნიეს თავიანთ ღვიძლ საქმედ და დაუღალავად იბრძვიან ამ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

საწარმოთა პარტიული, პროფკავშირული ორგანიზაციები და სამეურნეო ხელმძღვანელები, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები არ უნდა დაკმაყოფილდნენ მოპოვებული მიღწევებით, სათავეში უნდა ჩაუდგნენ სოციალისტურ შეჯიბრებას, მასების შემოქმედებითი ინიციატივა წარმართონ მუშაობაში ჯერ კიდევ არსებული ჩამორჩენის დაძლევისა და წლიური გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

## საშემოდგომო ხორბლის თესვა დაიწყო

გორი. (საკ. კორ). ლამიან მიწებში შინდისის მტს-ის მექანიზატორებმა დაიწყეს საშემოდგომო ხორბლის თესვა. სოფელ შინდისის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში პირველმა სატრაქტორო ბრიგადამ დათესა 50 ჰექტარზე მეტი საშემოდგომო ხორბალი.

ხორბლის თესვას შეუდგნენ აგრეთვე ვარიანის გოგებაშვილის სახელობის და ფხვენისის კოლმეურნეობებში.

# რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ პეტრუ გროზას
# რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ კივუ სტოიკას
# რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ გ. გეორგიუ-დეჟს

ფაშისტური მონობისაგან რუმინეთის განთავისუფლების მე-12 წლისთავის გამო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ გილოცავენ თქვენ და თქვენი სახით მთელ რუმინელ ხალხს და გამოთქვამენ სოციალიზმის მშენებლობის გზაზე შემდგომი პროგრესისა და აყვავების საუკეთესო სურვილებს.

რუმინეთის მშრომელები, მტკიცედ დაადგნენ რა სოციალისტური განვითარების გზას, წარმატებით იბრძვიან სოციალიზმის გამარჯვებისათვის, თავიანთი მატერიალური და კულტურული დონის განუწყვეტელი ამაღლებისათვის, მშვიდობის საქმის გამარჯვებისათვის.

საბჭოთა ხალხს გულწრფელად უხარია შესანიშნავი წარმატებანი, რომლებიც რუმინელმა ხალხმა მედგარი ბრძოლითა და შრომით მოიპოვა განვლილ 12 წელიწადში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი რუმინეთის მუშათა პარტიას, შრომისმოყვარე და ნიჭიერ რუმინელ ხალხს და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას უსურვებენ შემდგომ წარმატებებს სოციალიზმისათვის, საბჭოთა კავშირსა და რუმინეთს შორის მეგობრობის შემდგომი განვითარებისათვის, სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობის განმტკიცებისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

| სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე | სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე | საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი |
|---|---|---|
| კ. ვოროშილოვი | ნ. ბულგანინი | ნ. ხრუშჩოვი |

მოსკოვი, 1956 წ. 22 აგვისტო.

# ს ს რ კ ა ვ შ ი რ ი ს მ ი ნ ი ს ტ რ თ ა ს ა ბ ჭ ო შ ი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება გადასცეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას ეგრეთწოდებული მანჯურიის არქივი (ჩინეთის ხეილუნძიანისა და გირინის პროვინციების დაწესებულებათა 1675-1900 წლების დოკუმენტალური მასალები), რომელიც ინახებოდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო არქივებში. ეს არქივი 1901 წელს გამოიტანეს ყოფილი მეფის რუსეთის ჯარებმა ქალაქ ციციკარიდან.

არქივი შეიცავს ძვირფას და ისტორიის მეცნიერებისათვის ნაკლებად ცნობილ მასალებს ჩინეთის საგარეო ურთიერთობის, ხეილუნძიანის და გირინის პროვინციათა ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების ისტორიის, აგრეთვე რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობის ისტორიის მასალებს.

გადასაცემ მასალებში არის დიდძალი დოკუმენტი პროვინციების სამოქალაქო და სამხედრო მმართვის საკითხებზე, მოსახლეობის რიცხობრივ და სოციალურ შემადგენლობაზე, საადგილმამულო ურთიერთობაზე, სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის განვითარებაზე, გზებისა და საირიგაციო ნაგებობათა მშენებლობაზე, დროშოვანი ჯარების მდგომარეობაზე, აგრეთვე გეოგრაფიული რუკები და სხვა დოკუმენტები.

მანჯურიის არქივს დიდი მეცნიერულ-ისტორიული მნიშვნელობა აქვს, როგორც ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის XVII-XIX საუკუნეთა ისტორიის შესწავლის დოკუმენტალურ ბაზას.

1956 წლის 21 აგვისტო.

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი ფინეთში

ჰელსინკი, 22 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი, რომელიც ფინეთის რესპუბლიკის დედაქალაქში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება, დღეს ეცნობოდა ქალაქის ღირსშესანიშნაობებს. ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ უ. კეკონენთან ერთად კ. ე. ვოროშილოვმა დაათვალიერა ფინეთის პარლამენტის შენობა და იყო ფინეთის ეროვნულ მუზეუმში.

პარლამენტის შენობაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს კ. ე. ვოროშილოვსა და მის თანმხლებ პირებს მიესალმნენ პარლამენტის თავმჯდომარე ვ. ი. სუკსელაინენი, მისი მოადგილეები ვ. ლესკინენი და ტ. კუიალა, მუდმივი კომისიების წევრები, პარლამენტის ფრაქციების თავმჯდომარეები. სახელმწიფო დარბაზში პარლამენტის თავმჯდომარემ ვ. ი. სუკსელაინენმა შემდეგი სიტყვით მიმართა კ. ე. ვოროშილოვს:

დიდად პატივცემულო ბ-ნო უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარევ, დიდად პატივცემულო ბ-ნო რესპუბლიკის პრეზიდენტო!

ფინეთის პარლამენტის სახელით ნება მიბოძეთ გულითადად მოგესალმოთ თქვენ, ბ-ნო უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარევ, ჩვენს ქვეყანაში ჩამოსვლისა და ამ შენობაში მოსვლის გამო. პარლამენტი, რომლის წევრებს უკანასკნელ წლებში ჩვენი ქვეყნების საპარლამენტო დელეგაციათა ურთიერთ ვიზიტების დროს და ბევრ სხვა შემთხვევაში შესაძლებლობა ჰქონდათ პირადად მიეღოთ მონაწილეობა ფინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის იმ სულ უფრო მზარდ თანამშრომლობაში, რომელიც ასე გვახარებს ჩვენ ყველას, განსაკუთრებული კმაყოფილების გრძნობით მიესალმება საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურს, დღეს რომ სტუმრად არის ამ შენობაში, რომელიც ჩვენთვის ჩვენი დემოკრატიული სახელმწიფოებრივი წყობილების სიმბოლოა. ეს ვიზიტი მიგვაჩნია ახალ, განსაკუთრებულ ღირსშესანიშნავ ნაბიჯად მშვიდობისა და ურთიერთგაგების მიმართულებით.

ფინეთის სახალხო წარმომადგენლობას მისი ახლანდელი ფორმით — პარლამენტით, რომელიც არჩეულია საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე — წელს 50 წელი უსრულდება. ჩვენ, შუა ხნის ადამიანებს, ეს დრო გრძლად გვეჩვენება. მაგრამ, ვიგონებთ რა ამ დღეებში, ბ-ნო პრეზიდენტო, თქვენი ცხოვრების ამბებს, გვესმის, რომ მთელი ეს, ჩვენი აზრით, გრძელი დრო ეტევა იმ წლებში, რომლებმაც განვლო ფინეთში თქვენი პირველი ჩამოსვლის დროიდან თქვენს ამ ვიზიტამდე. ჩვენი საპარლამენტო რეფორმა 1905 წლის მოვლენების შედეგი იყო და უშუალო კავშირი ჰქონდა იმ ბრძოლასთან, რომელსაც თქვენ, ბ-ნო პრეზიდენტო, ეწეოდით თქვენი ქვეყნის საშინაო პირობების განვითარებისათვის. გვაქვს რა სასიამოვნო შესაძლებლობა პირველად მივესალმოთ ფინეთში და მისი პარლამენტის შენობაში საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურს, ჩვენ განსაკუთრებულ სიხარულს გვანიჭებს ის, რომ შეგვიძლია მივესალმოთ ჩვენს საპატიო სტუმარს სწორედ თქვენი სახით და ამრიგად ხსოვნაში აღვადგინოთ ფინეთისა და რუსეთის ხალხთა საერთო დემოკრატიული მისწრაფებანი ნახევარი საუკუნის წინათ.

ნება მიბოძეთ, ბ-ნო პრეზიდენტო, გულითადად მოგესალმოთ ფინეთის პარლამენტის შენობაში მოსვლის გამო. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

უპასუხა რა ფინეთის პარლამენტის თავმჯდომარის მისალმებაზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა თქვა:

დიდად პატივცემულო ფინეთის რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარევ!

სულით და გულით გმადლობთ იმ გულთბილი მისალმებისათვის, რომლითაც მომმართეთ მე და ჩემს თანამგზავრებს ფინეთის პარლამენტის შენობაში მოსვლისას. ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო გამეგონა თქვენგან კარგი სიტყვები ფინეთში ჩემი ყოფნის შესახებ ნახევარი საუკუნის წინათ, როცა თქვენს ქვეყანაში ჩამოვედი ლუგანსკელი მუშების წარმომადგენლად. მინდა გითხრათ, ბ-ნო თავმჯდომარევ, რომ იმ დროს მე ვსარგებლობდი ფინელი მუშების საუცხოო სტუმართმოყვარეობით, რომლებიც ჩვენთან ერთად თავდადებით იბრძოდნენ საძულველი მეფის რეჟიმის წინააღმდეგ.

თქვენ სწორად აღნიშნეთ, რომ 50 წლის წინათ ფინეთის პარლამენტის დაბადება 1905 წლის ამბების შედეგია. მას, რა თქმა უნდა, უშუალო კავშირი ჰქონდა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მასების აშკარა გამოსვლასთან.

ვსარგებლობ რა ამ შემთხვევით, მინდა აღვნიშნო, რომ მშრომელთა დიდი მასწავლებელი და ბელადი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი ჯერ კიდევ 1905 წლის რევოლუციამდე დიდი ხნით ადრე მხურვალედ მიესალმებოდა ფინელი ხალხის ყოველ გამარჯვებას მის ბრძოლაში თავისუფლებისათვის და უდიდესი ძალით ამხილებდა ცარიზმის მჩაგვრელურ, რუსიფიკატორულ პოლიტიკას ფინეთში. მაგალითად, საკმარისია აქ გავიხსენოთ, რომ, როცა მეფის მთავრობამ 1899 წლის მანიფესტით ფინეთის სეიმს ჩამოართვა მისი უმნიშვნელოვანესი უფლებები, ხოლო 1901 წლის კანონით სრულიად რუსეთის სამხედრო ბეგარა გაავრცელა ფინეთზე, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი წერდა:

„1899 წლის 3 თებერვლის მანიფესტიც და 1901 წლის 29 ივნისის კანონიც **უკანონოა**, ეს ფიცის გატეხისა და იმ ბაშიბუზუკთა ხროვის ძალადობაა, რომელსაც ეწოდება მეფის მთავრობა".

ახლა ფინეთის რესპუბლიკის დიდად პატივცემული პრეზიდენტის ბ-ნ კეკონენის მოწვევის მეოხებით მე კვლავ ვსარგებლობ ფინელი ხალხის შესანიშნავი სტუმართმოყვარეობით. მე და ჩემს თანამგზავრებს მტკიცედ გვწამს, რომ ჩვენი ვიზიტი ფინეთში და კონტაქტები, რომლებითაც აღნიშნულია ეს ვიზიტი, ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირ-ფინეთის მეგობრობის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას ჩვენი ორივე ხალხის საკეთილდღეოდ.

ერთხელ კიდევ გულითადად გმადლობთ, ბ-ნო პარლამენტის თავმჯდომარევ, თქვენი მისალმებისათვის და იმისათვის, რომ შესაძლებლობა მოგვეცა გვენახა ფინეთის რესპუბლიკის პარლამენტის შენობა, რომელიც თავისი ნახევარი საუკუნის იუბილეს აღნიშნავს.

საბჭოთა სტუმრებმა დაათვალიერეს პარლამენტის ყველა ძირითადი შენობა. სხდომათა დარბაზში მათ უჩვენეს ხმების დათვლის ავტომატური სისტემა, რომელიც მყისვე უჩვენებს, თუ რამდენმა დეპუტატმა მისცა ხმა წინადადებას, რამდენმა — წინააღმდეგ და რამდენმა თავი შეიკავა.

პარლამენტის ბუფეტში კ. ე. ვოროშილოვმა წარმოთქვა სადღეგრძელო პარლამენტის წევრებისა, რომლებიც ასრულებენ არა მარტო თავიანთ ეროვნულ მოვალეობას, არამედ ახსოვთ, რომ ყველა მათ აქვთ საერთო საერთაშორისო ამოცანა — არ დაუშვან ომი, იბრძოლონ მშვიდობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა და მისმა თანმხლებმა პირებმა ხელი მოაწერეს საპატიო სტუმრების წიგნში. პარლამენტის შენობიდან წასვლისას კ. ე. ვოროშილოვმა გულთბილი მადლობა გადაუხადა პარლამენტის თავმჯდომარეს ვ. ი. სუკსელაინენს მიღებისათვის, რომელიც მას პარლამენტში მოუწყეს.

საბჭოთა სტუმრებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს ეროვნული მუზეუმი, სადაც თავმოყრილია ფინეთის ისტორიისა და კულტურის უმნიშვნელოვანესი მასალები. ახსნა-განმარტებას იძლეოდა მუზეუმის დირექტორი პროფესორი ს. ა. ნურდმანი.

ქალაქის დათვალიერებისას, აგრეთვე პარლამენტის შენობასა და ეროვნულ მუზეუმში ყოფნისას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს კ. ე. ვოროშილოვს ახლდნენ ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი უ. კ. კეკონენი, პრემიერ-მინისტრი კ. ა. ფაგერჰოლმი, საგარეო საქმეთა მინისტრი რ. ტერგრენი, განათლების მინისტრი ი. ვიროლაინენი და ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი კ. კლეემოლა.

ნაშუადღევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი და მისი თანმხლები პირები გაეცნენ საბითუმო ვაჭრობის კოოპერატივის საწარმოებს და ტაპიოლას ახალ საცხოვრებელ რაიონს. საბჭოთა სტუმრებს ახლდნენ ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი უ. კ. კეკონენი, ფინეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ე. ვუორი, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი კ. კლეემოლა, განათლების მინისტრი ი. ვიროლაინენი და სხვები.

კოოპერატივის საწარმოები წარმოადგენენ თავისებურ კომბინატს, რომელშიც არის სამკერვალო ფაბრიკა, მარგარინის ქარხანა, ყავის დამმუშავებელი და სხვა საწარმოები. აქ საბჭოთა სტუმრებს და მათს თანმხლებ პირებს შეხვდნენ კოოპერატივის მთავარი დირექტორი, ვაჭრობისა და მრეწველობის ყოფილი მინისტრი უ. ტაკი და სხვა ხელმძღვანელი მოღვაწეები, აგრეთვე ეზოში შეკრებილი მრავალი მუშა. კ. ე. ვოროშილოვს მიესალმნენ მუშათა რწმუნებულები რ. ხიეტარინე და ს. ხეინონენი.

სტუმრებმა დაიწყეს საწარმოთა დათვალიერება. კ. ე. ვოროშილოვი ეცნობა წარმოებას, აძლევს კითხვებს, ესაუბრება კოოპერატივის ხელმძღვანელებსა და მუშებს.

საწარმოდან წასვლისას კ. ე. ვოროშილოვმა სთხოვა კოოპერატივის ხელმძღვანელებს გადასცენ მუშებს მისალმების მხურვალე სიტყვები და საუკეთესო სურვილები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს კ. ე. ვოროშილოვს და მის თანმხლებ პირებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს ქალაქ ტაპიოლის მშენებელმა მუშებმა. მშენებლობის პროცესში მყოფ სახლთან, სადაც საბჭოთა სტუმრები გაჩერდნენ, გამოკიდებულია ტრანსპარანტი წარწერით ფინურ და რუსულ ენებზე: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!". მუშების სახელით სტუმრებს მიესალმა ლეპსია. კ. ე. ვოროშილოვმა გულითადი მადლობა გადაიხადა მეგობრული მიღებისა და მისალმების გულთბილი სიტყვებისათვის.

საბჭოთა სტუმრებმა დაათვალიერეს აქ აშენებული საცხოვრებელი სახლები, იყვნენ ინჟინერ ტუომირლას ბინაში.

# საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1956 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობა.

საქართველოს სსრ მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის განვითარება, კაპიტალური მშენებლობა, საქონელბრუნვის, კულტურული მშენებლობის გაშლება და ჯანმრთელობის დაცვა 1956 წლის პირველ ნახევარში ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

## მრეწველობა

### I

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მყოფი მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულებულია 103 პროცენტით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებული მრეწველობისა — 104 პროცენტით.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მყოფი მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვება 1955 წლის პირველ ნახევართან შედარებით გაიზარდა 13 პროცენტით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებული მრეწველობისა — 10 პროცენტით.

1956 წლის პირველ ნახევარში გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 12 ათასი ტონა თუჯი, 16 ათასი ტონა ფოლადი, 131 ლითონსაჭრელი ჩარხი, 86 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 6,1 მილიონი პირობითი ქილა კონსერვი, 1.4 ათასი ტონა პირველადი დამუშავების ჩაი. საქართველოს სსრ ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტრომ ნახევარი წლის გეგმის გადამეტებით გამოუშვა 183 ტონა ძეხვეული. საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრომ — 192 ათასი დეკალიტრი ყურძნის ღვინო. 303 ტონა საკონდიტრო და 8,6 ათასი ტონა პურ-ფუნთუშის ნაწარმი. ნახევარი წლის გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 456 ათასი მეტრი ბამბის, 79 ათასი მეტრი აბრეშუმისა და 90 ათასი მეტრი შალის ქსოვილები, 72 ათასი ცალი ზედა ტრიკოტაჟი, აგრეთვე მნიშვნელოვანი რაოდენობით მარგანეცის მადანი და ზოგიერთი სხვა ნაწარმი.

მრეწველობის საერთო პროდუქციის წარმოების გეგმა ქალაქმა თბილისმა შეასრულა 105 პროცენტით, აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ — 105 პროცენტით, აჭარის ასს რესპუბლიკამ — 105 პროცენტით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა — 94 პროცენტით.

ქ. თბილისის, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მრეწველობამ თუმცა გადაჭარბებით შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა, მაგრამ ვერ შეასრულა ზოგიერთი სახეობის ნაწარმის წარმოების გეგმა ნატურალური გამოხატულებით.

### II

1956 წლის პირველი ნახევრის გეგმის შესრულება, აგრეთვე მრეწველობის საერთო პროდუქციის წარმოების ზრდა 1956 წლის პირველ ნახევარში 1955 წლის პირველ ნახევართან შედარებით საკავშირო მრეწველობის საწარმოთა მიერ ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

| | 1956 წლის პირველი ნახევრის გეგმის შესრულების პროცენტი | 1956 წლის პირველი ნახევარი პროცენტობით 1955 წლის პირველ ნახევართან შედარებით |
|---|---|---|
| ჭიათურის მარგანეცის ტრესტი | 102 | 110 |
| ფეროშენადნობთა ქარხანა | 92 | 107 |
| ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხანა | 98 | 133 |
| კვაისის მაღაროთსამმართველო | 99,1 | 96 |
| სპილენძსაგლინავი ქარხანა | 110 | 108 |
| ტყიბულის ქვანახშირის ტრესტი | 104 | 118 |
| ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტი | 112 | 106 |
| ახალციხის ქვანახშირის მაღაროთსამმართველო | 82 | 113 |
| ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა | 106 | 120 |
| „საქნავთის" ნავთობსარეწი სამმართველო | 98 | 89 |
| „საქენერგოს" კასკადი № 1 | 113 | 113 |
| რიონჰესი | 121 | 136 |
| აწჰესი | 116 | 130 |
| ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური | 103 | 98 |
| თბილისის თბოელექტროცენტრალი | 105 | 107 |
| ხრამჰესი | 172 | 176 |
| ჩითახევჰესი | 104 | 100,6 |
| სოხუმის ელექტროქსელი | 104 | 118 |
| სამგორის ჰესების კასკადი | 114 | 111 |
| შაორჰესი | 121 | 274 |
| ეზმინჰესი | 104 | 112 |
| აზოტოვანი სასუქების ქარხანა | 35 | 238 |
| ლიტოპონის ქარხანა | 98 | 98 |
| პლასტმასის ქარხანა | 91 | 117 |
| კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხანა | 100,1 | 109 |
| თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანა | 100,0 | 114 |
| მანქანათმშენებელი ქარხანა „მაღაროელი" | 100,0 | 108 |
| ქუთაისის საავტომობილო ქარხანა | 95 | 128 |
| ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა | 100,2 | 123 |
| ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხანა | 97 | 138 |
| სამსხმელო-მექანიკური ქარხანა | 106 | 115 |
| ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა | 107 | 107 |
| ლოკომოტივშემკეთებელი ქარხანა | 115 | 121 |
| კასპის ცემენტის ქარხანა | 94 | 119 |
| ენგურის ქაღალდის კომბინატი | 102 | 132 |
| ტრესტი „გლავმუკა" | 107 | 99,6 |
| კოფეინის ქარხანა | 103 | 104 |

საერთო პროდუქციის გეგმის შესრულებისას ზოგიერთმა საწარმომ ვერ შეასრულა ცალკეულ სახეობათა პროდუქციის წარმოების გეგმა ნატურალური გამოხატულებით. ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტმა ვერ შეასრულა ქვანახშირის ამოღების გეგმა, მანქანათმშენებელმა ქარხანა „მაღაროელმა" — ექსკავატორებისა და ატნ-10 მარკის ტუმბოების წარმოების გეგმა, კიროვის სახელობის ჩარხმშენებელმა ქარხანამ — ზოგიერთი ტიპის ლითონსაჭრელი ჩარხებისა, თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანამ — თუჯისა და ფოლადის სხმულისა, ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელმა ქარხანამ — ორთქლმავლების საშუალო შეკეთებისა და სამგზავრო ვაგონების კაპიტალური შეკეთების გეგმა.

1956 წლის პირველი ნახევრის გეგმის შესრულება, აგრეთვე მრეწველობის საერთო პროდუქციის წარმოების ზრდა 1956 წლის პირველ ნახევარში 1955 წლის პირველ ნახევართან შედარებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულ სამინისტროებსა და საწარმოებში ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

| | 1956 წლის პირველი ნახევრის გეგმის შესრულების პროცენტი | 1956 წლის პირველი ნახევარი პროცენტობით 1955 წლის პირველ ნახევართან შედარებით |
|---|---|---|
| სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრო | 107 | 105 |
| ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტრო | 97 | 106 |
| მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო | 102 | 110 |
| საფეიქრო მრეწველობის სამინისტრო | 105 | 116 |
| სატყეო მრეწველობის სამინისტრო | 92 | 107 |
| საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო | 98 | 119 |
| ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო | 108 | 117 |
| საქართველოს თევზის მრეწველობის მთავარი სამმართველო | 51 | 91 |
| საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოები | 111 | 132 |
| საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს საწარმოები | 95 | 112 |
| კულტურის სამინისტროს საწარმოები | 103 | 109 |
| საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს საწარმოები | 96 | 97 |
| ვაჭრობის სამინისტროს საწარმოები | 106 | 113 |
| ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საწარმოები | 127 | 115 |
| კომუნალური მეურნეობის სამინისტროს საწარმოები | 106 | 115 |
| განათლების სამინისტროს საწარმოები | 106 | 104 |
| სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს საწარმოები | 103 | 117 |
| უსინათლოთა საზოგადოების საწარმოები | 108 | 115 |
| ყრუ-მუნჯთა საზოგადოების საწარმოები | 107 | 133 |
| საქართველოს სარეწაო საბჭო | 100,5 | 113 |
| სამომხმარებლო კოოპერაციის საწარმოები | 93 | 108 |

ზოგიერთმა სამინისტრომ მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულა საერთო პროდუქციის წარმოების გეგმა, მაგრამ ვერ შეასრულა ცალკეულ სახეობათა პროდუქციის წარმოების გეგმა ნატურალური გამოხატულებით. სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრომ ვერ შეასრულა საჭმელი მცენარეული ზეთის, ფერმენტირებული თამბაქოს, ლუდის წარმოების გეგმა; მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ — ქრომისა და წვრილი დათრიმლული ტყავის საქონლის და ზოგიერთი სახეობის ტანსაცმლის წარმოების გეგმა; საფეიქრო მრეწველობის სამინისტრომ — აბრეშუმის ნედლეულისა და ხალიჩის ნაწარმის წარმოების გეგმა; ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ — გრეხილი სკამებისა და ზოგიერთი სხვა სახეობის ნაწარმის წარმოების გეგმა; საქართველოს სარეწაო საბჭომ ვერ შეასრულა აგურის, კრამიტის, კირის, წინდის ნაწარმისა და ზოგიერთი სხვა სახეობის პროდუქციის წარმოების გეგმა ნატურალური გამოხატულებით.

### III

სამრეწველო პროდუქციის ძირითად სახეობათა წარმოება ნატურალური გამოხატულებით ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

| | 1956 წლის პირველი ნახევრის გეგმის შესრულების პროცენტი | 1956 წლის პირველი ნახევარი პროცენტობით 1955 წლის პირველ ნახევართან შედარებით | | 1956 წლის პირველი ნახევრის გეგმის შესრულების პროცენტი | 1956 წლის პირველი ნახევარი პროცენტობით 1955 წლის პირველ ნახევართან შედარებით |
|---|---|---|---|---|---|
| მარგანეცის მადანი | 103 | 109 | ტყავის ფეხსაცმელი | 101 | 110 |
| ქვანახშირი | 96 | 106 | პიანინოები და როიალები | 101 | 113 |
| კოქსი | 100,7 | 148 | სამშენებლო ლურსმანი | 102 | 109 |
| თუჯი | 104 | 171 | საწოლები | 99 | 116 |
| ფოლადი | 105 | 117 | ნავთქურები | 99 | 121 |
| ნაგლინი | 94 | 112 | მომინანქრებული ჭურჭელი | 100,2 | 119 |
| მთლიანნაგლინი მილები | 97 | 130 | თევზის ჭერა | 31 | 97 |
| ელექტროენერგია | 108 | 122 | ხორცი | 88 | 93 |
| სატვირთო ავტომობილები | 98 | 107 | ძეხვეული | 106 | 109 |
| ექსკავატორები | 76 | 131 | ერბო-კარაქი | 102 | 102 |
| ტუმბოები ატნ-10 | 73 | 112 | მარგარინის პროდუქცია | 108 | 117 |
| ლითონსაჭრელი ჩარხები | 108 | 99 | ყველი | 87 | 96 |
| საქსოვი დაზგები | 110 | 108 | კონსერვები | 162 | 170 |
| ცემენტი | 66 | 146 | საკონდიტრო ნაწარმი | 104 | 111 |
| შიფერი | 82 | 99,9 | პურ-ფუნთუშის ნაწარმი | 105 | 105 |
| აგური | 89 | 103 | მაკარონის ნაწარმი | 104 | 76 |
| კრამიტი | 72 | 103 | ჩაი — პირველადი დამუშავება | 112 | 91 |
| სამასალე მერქნის გამოზიდვა | 75 | 90 | ჩაი მზა დაფასოებული | 112 | 113 |
| შეშის გამოზიდვა | 90 | 88 | კონიაკი | 109 | 88 |
| ქაღალდი | 103 | 113 | ყურძნის ღვინო | 110 | 105 |
| ბამბის ქსოვილები | 102 | 220 | შამპანური | 106 | 107 |
| შალის ქსოვილები | 104 | 104 | ლუდი | 93 | 86 |
| აბრეშუმის ქსოვილები | 100,6 | 105 | მინერალური წყლები | 101 | 137 |
| წინდის ნაწარმი | 97 | 112 | საპონი | 104 | 114 |
| ტრიკოტაჟის საცვლები | 89 | 94 | | | |
| ზედა ტრიკოტაჟი | 111 | 114 | | | |

წლის პირველი ნახევრის გეგმას აგური დააკლეს ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტმა — 7,2 მილიონი ცალი, ტყიბულის შახტმშენის ტრესტმა — 2,6 მილიონი ცალი, საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ — 1 მილიონი ცალი, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ — 3,8 მილიონი ცალი, საქართველოს სარეწაო საბჭომ — 130 ათასი ცალი. კრამიტი დააკლეს საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ — 740 ათასი ცალი, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ — 516 ათასი ცალი, საქართველოს სარეწაო საბჭომ — 1.374 ათასი ცალი.

ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტმა რესპუბლიკის მშენებლობებს დააკლო 4,7 ათასი კუბური მეტრი ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები და დეტალები.

სატყეო მრეწველობის სამინისტრომ წლის პირველი ნახევრის გეგმას დააკლო 38 ათასი კუბური მეტრი სამასალე მერქანი და 2,9 ათასი კუბური მეტრი დახერხილი მასალა. საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს საწარმოებმა დააკლეს 3,4 ათასი კუბური მეტრი დახერხილი მასალა.

1956 წლის პირველ ნახევარში ათვისებულია ფურცლოვანი ნაგლინის, სავიბრაციო წისქვილების, კირ-წიდის ცემენტისა და ზოგიერთი სხვა ნაწარმის წარმოება.

კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში შეფერხდა სახარატოხრახნსაჭრელი ჩარხის ახალი მოდელის წარმოების ათვისება, ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში — კაზ-600 მარკის თვითსაცლელების, ავტომაწევრებისა და ნახევარმისაბმელების, ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში — საღნობი აგრეგატებისა და როლერების წარმოების ათვისება.

ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიულ ქარხანაში რამდენადმე გაუმჯობესდა მეტალურგიული მოწყობილობის გამოყენება: 1956 წლის პირველ ნახევარში ბრძმედების მარგი მოცულობის გამოყენების კოეფიციენტი შეადგენდა 0,832-ს გეგმით გათვალისწინებული 0,867-ისა და 1955 წლის ფაქტიური 1,005-ის ნაცვლად, ფოლადის აღება მარტენის ღუმელის ქვედის ერთ კვადრატულ მეტრ ფართობზე გეგმით გათვალისწინებული 5,88-ის ნაცვლად შეადგენდა 6,8 ტონას დღე-ღამეში ანუ 1955 წლის დონეზე 18 პროცენტით მეტს. ამასთან ერთად ვერ შესრულდა საგლინავი დგანების გამოყენების გეგმიანი მაჩვენებლები. ქარხანას შესაძლებლობა აქვს შემდგომ გაადიდოს თუჯის, ფოლადის, ნაგლინისა და მილების გამოშვება აგრეგატების უკეთ გამოყენებით და მეტალურგიული პროცესების ინტენსიფიკაციით.

ნელა ხდება რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის საწარმოო სიმძლავრის ათვისება. პროდუქციის გამოშვების გადიდების მნიშვნელოვანი რეზერვები გამოყენებული არ არის ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში. კასპის ცემენტის ქარხანაში მბრუნავი ღუმელებისა და ცემენტის წისქვილების წარმადობა გეგმით დადგენილზე ნაკლები იყო. ჯერ კიდევ მცირეა აგურის მიღება რკალური ღუმელების გამოსაწვავი არხის ერთ კუბურ მეტრ მოცულობაზე საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს აგურის ქარხნებში. ამ სამინისტროს საწარმოებში, რომლებიც არამადნეული საშენი მასალების მოპოვებას ეწევიან, იყო მანქანებისა და მექანიზმების მოცდენები.

ადგილობრივ მრეწველობასა და სარეწაო კოოპერაციაში ნელა წარმოებდა მუშაობა საწარმოთა გამსხვილებისა და სპეციალიზაციისათვის, საკმაოდ არ იყო გამოყენებული ადგილობრივი ნედლეული სამრეწველო პროდუქციის წარმოების გასაფართოებლად.

1956 წლის პირველ ნახევარში წარმოებდა მუშაობა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაუმჯობესებლად. ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ და საქართველოს სარეწაო საბჭომ აამუშავეს საყოფაცხოვრებო მომსახურების 10 ახალი კომბინატი. მაგრამ საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებში ჯერ კიდევ არის მოსახლეობის შეკვეთების არაკეთილხარისხოვნად და დაგვიანებით შესრულების შემთხვევები.

### IV.

მუშათა შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში 1955 წლის პირველ ნახევართან შედარებით 8,6 პროცენტით გადიდდა. მაგრამ საშენი მასალების მრეწველობის სამინისტრომ, სატყეო მრეწველობის სამინისტრომ, მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ და ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტრომ შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმა ვერ შეასრულეს.

შესადარი სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულება მრეწველობაში, რომელიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ექვემდებარება, შემცირებულია 2,9 პროცენტით, ამასთან ზეგეგმითი ეკონომია მთელი სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით დაახლოებით 30 მილიონ მანეთს შეადგენდა.

თვითღირებულების შემცირების დავალება ვერ შეასრულა საქართველოს სსრ საშენი მასალების მრეწველობის სამინისტრომ.

## სოფლის მეურნეობა

მიმდინარე წლის გაზაფხულზე რესპუბლიკის კოლმეურნეობები მუშაობდნენ მრავალწლიანი ნარგავების ფართობის შემდგომი გადიდებისათვის. ვენახების გაშენების ფართობი შეადგენს 1.153 ჰექტარს, ხეხილის ბაღებისა, მათ შორის სუბტროპიკული კულტურების — 1.894 ჰექტარს, ციტრუსოვანი კულტურებისა — 166 ჰექტარს, ჩაის პლანტაციებისა — 36 ჰექტარს.

გაშენების წლიური გეგმა შესრულებულია: ვენახებისა — 37 პროცენტით, ხეხილის ბაღებისა — 61 პროცენტით, ციტრუსებისა — 17 პროცენტით, ჩაის პლანტაციებისა — 59 პროცენტით.

შარშანდელთან შედარებით რესპუბლიკაში გადიდდა სიმინდის, თამბაქოს, ბოსტნეულის ნათესი ფართობები, მაგრამ საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა კოლმეურნეობებმა რამდენადმე ვერ შეასრულეს. საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებში შესრულებულია გადაჭარბებით.

კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი პირუტყვის საკვებით უკეთ უზრუნველყოფისა და უკეთ მოვლის შედეგად პირუტყვის პროდუქტიულობა გადიდდა, მაგრამ პირუტყვის რაოდენობა რესპუბლიკის კოლმეურნეობებში რამდენადმე შემცირდა.

რძის წარმოება კოლმეურნეობებში 1955 წლის 1 ოქტომბრიდან 1956 წლის 1 ივლისამდე გადიდდა 15,8 ათასი ტონით ანუ 22 პროცენტით 1954-55 წლების ამავე პერიოდთან შედარებით. საშუალო წველადობა ერთ ძროხაზე კოლმეურნეობებში ამავე პერიოდში 20 პროცენტით გადიდდა. ნაწველი გადიდდა აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებში.

რძის დამზადებისა და შესყიდვის ნახევარი წლის სახელმწიფო გეგმა 1956 წლის პირველ ნახევარში შესრულებულია 108 პროცენტით. 1956 წლის პირველ ნახევარში დამზადებული და შესყიდულია 9 პროცენტით მეტი პირუტყვი, ვიდრე 1955 წლის შესაბამის პერიოდში. მაგრამ პირუტყვის დამზადებისა და შესყიდვის ნახევარი წლის გეგმა მთლიანად შესრულებული არ არის. კვერცხის დამზადება და შესყიდვა 1956 წლის პირველ ნახევარში აგრეთვე გადიდდა 9 პროცენტით 1955 წლის პირველ ნახევართან შედარებით. კვერცხის დამზადებისა და შესყიდვის 1956 წლის პირველი ნახევრის გეგმა შესრულებულია 105 პროცენტით.

რესპუბლიკის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა ტრაქტორებისა და მისაბმელი სასოფლო-სამეურნეო მანქანების შემოდგომა-ზამთრის რემონტის გეგმა ვადამდე შეასრულეს, შეასრულეს აგრეთვე კომბაინების რემონტის გეგმა.

1956 წლის პირველ ნახევარში შესრულებულია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები ხვნაზე გადაყვანით 27 ათასი ჰექტარით მეტი, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში.

## კაპიტალური მშენებლობა

1956 წლის პირველ ნახევარში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მნიშვნელოვანი მოცულობით ხორციელდებოდა კაპიტალური მშენებლობა. დიდი სამუშაოები სრულდებოდა საბინაო, კომუნალურ და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობაში. მაგრამ სახელმწიფო კაპიტალურდაბანდებათა ნახევარი წლის გეგმა მთლიანად რესპუბლიკაში შესრულებულია 91 პროცენტით, აქედან საბინაო მშენებლობაში — 89 პროცენტით. შესრულებული არ არის საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის ნახევარი წლის გეგმა.

კაპიტალურ დაბანდებათა ნახევარი წლის გეგმა საქართველოს სსრ ცალკეულმა სამინისტროებმა შეასრულეს: ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ — 156 პროცენტით, მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ — 138 პროცენტით, სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრომ — 119 პროცენტით, ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტრომ — 109 პროცენტით, კავშირგაბმულობის სამინისტრომ — 106 პროცენტით, ვაჭრობის სამინისტრომ — 103 პროცენტით, საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ — 99,9 პროცენტით, კულტურის სამინისტრომ — 95 პროცენტით, საფეიქრო მრეწველობის სამინისტრომ — 93 პროცენტით, საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ — 92 პროცენტით, სატყეო მრეწველობის სამინისტრომ — 91 პროცენტით, კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ — 84 პროცენტით, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ — 83 პროცენტით, წყალთა მეურნეობის სამინისტრომ — 82 პროცენტით, განათლების სამინისტრომ — 72 პროცენტით, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ — 67 პროცენტით, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ — 61 პროცენტით.

მთლიანად რესპუბლიკაში საბინაო მშენებლობის გეგმის შეუსრულებლობისას, საბინაო მშენებლობაში კაპიტალურ დაბანდებათა ნახევარი წლის გეგმა სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრომ შეასრულა 170 პროცენტით, სატყეო მრეწველობის სამინისტრომ — 118 პროცენტით, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ — 112 პროცენტით, მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ — 109 პროცენტით.

1956 წლის პირველ ნახევარში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა სკოლების მშენებლობაში გადიდდა 14 პროცენტით, საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების მშენებლობაში — 42 პროცენტით, მაგრამ სკოლებისა და საავადმყოფოების მშენებლობის ნახევარი წლის გეგმა არ შესრულებულა. არ შესრულებულა აგრეთვე საბავშვო ბაღებისა და საბავშვო ბაგების მშენებლობის გეგმა.

ბევრი სამშენებლო ორგანიზაცია ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობს. ტყვარჩელქვანახშირის, ტყიბულქვანახშირის ტრესტების სამშენებლო სამმართველოები და სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტი „საქჩაიმშენმონტაჟი" ცუდად იყენებენ საშენ მანქანებსა და მექანიზმებს, მაშინ როცა ბევრ შრომატევად სამუშაოს ისინი ხელით ასრულებენ.

საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს საიჯარო ორგანიზაციებმა საიჯარო სამუშაოთა ნახევარი წლის გეგმა 83 პროცენტით შეასრულეს. სპეციალიზებული № 7 ტრესტის გარდა, რომელმაც ნახევარი წლის გეგმა 114 პროცენტით შეასრულა, დანარჩენმა ტრესტებმა საიჯარო სამუშაოთა გეგმა ვერ შეასრულეს. განსაკუთრებით ცუდად მუშაობდნენ №№ 1, 2, 3, 4, 6, 8 ტრესტები და მექანიზაციის სამმართველო.

საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა ფაქტიურ თვითღირებულებას გეგმასთან შედარებით [illegible] პროცენტით გადააჭარბა, მათ შორის № 4 ტრესტმა — 16 პროცენტით, № [illegible] ტრესტმა — 12 პროცენტით, № 3 ტრესტმა — 7 პროცენტით, № 1 ტრესტმა — 5 პროცენტით, № 2 ტრესტმა — 5 პროცენტით.

ზარალი სამინისტროს ხაზით საანგარიშო პერიოდში 5.082 ათას მანეთს შეადგენს.

## ტრანსპორტი

ამიერკავკასიის რკინიგზამ (საქართველოს სსრ ტერიტორიაზე) ყველა ტვირთის საშუალო სადღეღამისო დატვირთვის 1956 წლის პირველი ნახევრის გეგმა შეასრულა 103 პროცენტით, აქედან ნავთობის და ნავთობის პროდუქტებისა — 119 პროცენტით, ქვანახშირისა — 100,5 პროცენტით, პურის ტვირთებისა — 102 პროცენტით, შავი ლითონებისა — 104 პროცენტით, შავი ლითონების ჯართისა — 127 პროცენტით. შესრულებული არ არის მარგანეცის მადნის, მინერალურ-საშენი მასალების, ქსოვილების, მინერალური

(დასასრული მე-3 გვერდზე)

# საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1956 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

## საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

(დასასრული)

სასუქების დატვირთვის გეგმა. 1955 წლის პირველ ნახევართან შედარებით საშუალო სადღეღამისო დატვირთვა 18 პროცენტით გადიდდა.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტმა წლის პირველ ნახევარში ტვირთზიდვის გეგმა ტონობით შეასრულა 97 პროცენტით, ტონა-კილომეტრობით — 99 პროცენტით. ტვირთბრუნვა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 19 პროცენტით გადიდდა. მგზავრთა გადაყვანის გეგმა შესრულებულია 100,8 პროცენტით. მგზავრთა გადაყვანა 1955 წლის პირველ ნახევართან შედარებით 24 პროცენტით გადიდდა.

## საქონელბრუნვა

1956 წლის პირველ ნახევარში რესპუბლიკის მოსახლეობას სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში მიეყიდა 4.032 მილიონი მანეთის საქონელი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით საქონელი შესადარ ფასებში 3 პროცენტით მეტი გაიყიდა.

სამომხმარებლო კოოპერაციამ, რომელიც ახორციელებს ვაჭრობას სოფლად, 1956 წლის პირველ ნახევარში გაყიდა 1.170 მილიონი მანეთის საქონელი, რაც 4 პროცენტით აღემატება გასული წლის დონეს.

გასულ წელთან შედარებით საქონელბრუნვის ერთგვარ ზრდასთან ერთად საცალო საქონელბრუნვის 1956 წლის პირველი ნახევრის გეგმა საქართველოს სსრ სავაჭრო ორგანიზაციებს შესრულებული აქვთ 97 პროცენტით, აქედან საცალო ვაჭრობის ქსელის საქონელბრუნვის გეგმა შესრულებულია 97 პროცენტით, საზოგადოებრივი კვების ბრუნვის გეგმა — 96 პროცენტით.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ საცალო საქონელბრუნვის გეგმა შეასრულა 97 პროცენტით, სამომხმარებლო კოოპერაციამ — 95 პროცენტით. 1956 წლის პირველ ნახევარში გადიდდა საქონლის გაყიდვა სამომხმარებლო კოოპერაციის საკომისიო სავაჭრო ქსელის ხაზით. მაგრამ შეზღუდულია ასორტიმენტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა, რომელთა რეალიზაცია ხდება საკომისიო ვაჭრობის ხაზით.

სახელმწიფო ვაჭრობის ხაზით მოსახლეობას მიეყიდა მეტი, ვიდრე 1955 წლის პირველ ნახევარში: შალის ქსოვილები, ტრიკოტაჟის საქონელი, წინდები, ტყავისა და რეზინის ფეხსაცმელი, ავეჯი, რადიომიმღებები, ველოსიპედები, ხორცი და ფრინველი, ძეხვეული, ერბო-კარაქი, შაქარი, საკონდიტრო ნაწარმი. მაგრამ მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება მთელ რიგ საქონელზე ჯერ კიდევ მთლიანად ვერ კმაყოფილდება.

რესპუბლიკის საკოლმეურნეო ბაზრებში გაიყიდა მეტი პურისა და სიმინდის ფქვილი, კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი, რძე და ყველი, ვიდრე 1955 წლის პირველ ნახევარში.

## კულტურული მშენებლობა და ჯანმრთელობის დაცვა

1956 წელს რესპუბლიკაში საშუალო სკოლები, მათ შორის მუშათა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლები დაამთავრა და სიმწიფის ატესტატი მიიღო 30 ათასმა კაცმა ანუ 17 პროცენტით მეტმა, ვიდრე 1955 წელს.

უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები, მათ შორის დაუსწრებელი, მიმდინარე წელს უშვებენ 15 ათასზე მეტ ახალგაზრდა სპეციალისტს, ანუ 8 პროცენტით მეტს, ვიდრე წინა წელს.

კულტურის სამინისტროს კინოდანადგართა რაოდენობამ წლის პირველი ნახევრის დამლევს მიაღწია 709-ს, ანუ 9 პროცენტით მეტია, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში კულტურის სამინისტროს სისტემის კინოთეატრებში იყო 16 მილიონზე მეტი კაცი, ანუ თითქმის 8 პროცენტით მეტი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

1956 წლის პირველ ნახევარში შემდგომ გაუმჯობესდა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება. გადიდდა საავადმყოფოების საწოლებისა და მუდმივი საბავშვო ბაგების ადგილების რიცხვი.

სახალხო მეურნეობის განვითარების 1956 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგები მოწმობენ ახალ წარმატებებს, რომლებიც მოიპოვეს საქართველოს მშრომელებმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში.

*საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო*

---

სარედაქციო ფოსტიდან

## ამხ. რ. ჭილლაძე ჯიუტობს

მიუხედავად მრავალი ღონისძიებისა, რაც ამ უკანასკნელ ხანს განხორციელდა ხილბოსტნეულით თბილისის მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესებისათვის, თბილხილბოსტანვაჭრობის მაღაზიებში ჯერ კიდევ არასაკმაო რაოდენობით შემოაქვთ ახალი, კარგი ხარისხის ხილი, ბოსტნეული და ბაღჩეული.

სავაჭრო ქსელის მომარაგების გაუმჯობესების მიზნით უკანასკნელ ხანებში ვაჭრობის სამინისტროს მითითებით მაღაზიები მიმაგრებული იქნენ უშუალოდ კოლმეურნეობებზე და ხილბოსტნეულით მოვაჭრე მაღაზიებს დაევალათ პროდუქცია მაღაზიებში შემოზიდონ მოკრეფისთანავე, პირდაპირ ბოსტნიდან, ბაღიდან ან ბაღჩიდან, რათა მომხმარებელმა ახალი პროდუქცია მიიღოს. საამისოდ მაღაზიების ხელმძღვანელებს დავალებული გვაქვს სათანადო ხელშეკრულებები გავაფორმოთ კოლმეურნეობებთან.

გარეუბნის რაიკოოპკავშირის წარმომადგენელთან ერთად 22 აგვისტოს ვიყავი სოფელ დიღმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან ამხ. რ. ჭილლაძესთან. დავწერეთ ხელშეკრულების პროექტი, შევადგინეთ კოლმეურნეობისაგან საქონლის მიღებისა და თბილისში შემოზიდვის გრაფიკი, მაგრამ... როგორც კი გაიგო ამხ. რ. ჭილლაძემ, რომ მასთან ხელშეკრულებას დებს მესამე მაღაზიის დირექტორი, ხელშეკრულების გაფორმებაზე მოულოდნელად კატეგორიული უარი განაცხადა:

— შენ არ იყავი „კომუნისტში" რომ მამხილებელი წერილი მოათავსე და ცუდი მუშაობისათვის სხვებთან ერთად მეც გამაკრიტიკე? არავითარ შემთხვევაში არ მოგიწერ ხელშეკრულებაზე ხელს, სანამ გაზეთში არ გამოაქვეყნებ, რომ მე არა ვარ ცუდი მუშაკი!

ასე შეაბრუნა კეხი დიღმის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ და ცივი უარით გამოგვისტუმრა.

ჯიუტობს ამხ. რ. ჭილლაძე, ვერ გაურჩევია საქმიანი კრიტიკა პირადი შეურაცხყოფისაგან და ნაცვლად იმისა, რომ გამოასწოროს არსებული ნაკლოვანებანი, შეგნებულად ფუშავს დედაქალაქის მშრომელთა ბოსტნეულით მომარაგების საქმეს.

საჭიროა ამხ. ჭილლაძეს პარტიის გარეუბნის რაიკომში ჩააგონონ ასეთი საქციელის შეუწყნარებლობა.

**გ. კობიძე,**
თბილხილბოსტანვაჭრობის № 3 მაღაზიის დირექტორი.

---

## გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

„კომუნისტის" რედაქციამ მიიღო წერილი, რომელშიც მხილებული იყო ადიგენის რაიონის სოფ. სმადის რვაწლიანი სკოლის დირექტორის ტ. ბარბაქაძის უხეირო მუშაობა.

წერილი ზომების მისაღებად საქართველოს კომპარტიის ადიგენის რაიკომს გადაეგზავნა. რაიკომის ბიურომ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ჩაშლის, განათლების განყოფილებისათვის ყალბი ცნობების მიწოდების, სასკოლო მიწის ნაკვეთიდან მიღებული მოსავლის ნაწილის განიავებისა და პედაგოგიურ პერსონალთან არაკოლეგიალური დამოკიდებულებისათვის სმადის რვაწლიანი სკოლის დირექტორი ტ. ბარბაქაძე მოხსნა თანამდებობიდან და დადო პარტიული სასჯელი.

---

# მთელი ძალები დავრაზმოთ ჩაის კრეფაში ჩამორჩენის დასაძლევად

*მოწინავე გამოცდილება — მასებს!*

## ვიბრძვი თერთმეტი ტონა ჩაისათვის

თხუთმეტ წელზე მეტია მკრეფავად ვმუშაობ ჩაის პლანტაციებში და მუდამ უხვად ვიღებ ჩაის ფოთოლს. არ ყოფილა ისეთი წელი, რომ ჩემს მოსავლელ 0,5 ჰექტარ პლანტაციაში 8 ტონაზე ნაკლები ჩაი მომეკრიფოს. პარტიამ და მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს ჩემს შრომას — დამაჯილდოვეს შრომის წითელი დროშის ორდენით, არჩეული ვარ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.



ტ. ტყებუჩავა

მეჩაიეებს მინდა მოვუთხრო ცოტა რამ ჩემი გამოცდილებიდან. ჩაის სამუშაოებს არასდროს არ ვაგვიანებ. მუდამ ზუსტად ვახორციელებ აგროტექნიკის მთელ რიგ კომპლექსს. კრეფის სეზონი რომ დამთავრდება, შემოდგომაზე ფართობში შემაქვს 10 ტონამდე გადამწვარი ნაკელი. შემდეგ დეკემბრის შუა რიცხვებამდე ვამთავრებ ფოსფოროვანი სასუქის შეტანას სრული დოზით. ყოველ ორ წელიწადში, ხან უფრო ადრე, პლანტაციის მდგომარეობის მიხედვით, შემაქვს კალიუმოვანი სასუქი და ვაწარმოებ პლანტაციის მსუბუქ გამობარვას ბუჩქების ახლოს 10-15 სანტიმეტრის სიღრმეზე. გამოხვნას არ ვაწარმოებ, რადგან ეს იწვევს მცენარის ძირების დაზიანებას.

ბუჩქების გასხვლა მეტად პასუხსაგები საქმეა. ბუჩქს ვაძლევ ნახევრადოვალურ ფორმას, რათა გავადიდო მისი ზედაპირი და, შესაბამისად — დუყების რაოდენობა. ვეგეტაციის დაჩქარების მიზნით შემაქვს სასუქი — სულფატამონიუმი ჰექტარზე გაანგარიშებით 2 ტონის რაოდენობით პირველი დოზა — 1.000 კილოგრამი მარტში, მეორე — 500 კილოგრამი — ივნისში, დანარჩენი — აგვისტოში. შეტანისას სასუქს მსუბუქად ჩავთოხნი.

დიდი მნიშვნელობა აქვს პლანტაციის მუდმივად ფხვიერ მდგომარეობაში ყოფნას. ადგილობრივ პირობებში ასეთი პლანტაციები ყოველთვის უხვ მოსავალს იძლევა. მავნებლების წინაალმდეგ დროზე ბრძოლა მაღალი მოსავლის საწინდარია. ჩვენში ხშირად არის ჩრჩილი. ამიტომ დროზე ვახდენ შეწამვლას. თუ მაინც აქა-იქ ღეროებში შევამჩნიე ჩრჩილი, დაზიანებულ ნაწილს ვწყვეტ და ვწვავ.

ფოთლის მოსავლიანობაზე გავლენას ახდენს აგრეთვე კრეფის კარგად მოწყობა. ამისათვის მთავარია სისტემატურად მოიკრიფოს შემოსული დუყები. კრეფის ოდნავი დაგვიანება იწვევს გაუხეშებას და — საბოლოო ანგარიშით — დანაკარგს. არ შეიძლება ნაადრევი კრეფა-გადაკვირტვა. ეს იწვევს ბუჩქების დასუსტებას, ხელს უწყობს საკრეფი ფოთლის უთანაბრო განვითარებას. ამიტომ ფოთოლს განუწყვეტლივ ვკრეფ. აპრილსა და მაისში ხუთ და ოთხფოთლიანი ყლორტებიდან ვწყვეტ ორსამფოთლიან ნაზ დუყებს, ყლორტზე კი ვტოვებ ორ ქვემო ფოთოლს, გარდა თევზა ფოთლისა. ივნისში ვკრეფ ისე, როგორც მაისში, ხოლო ივლისიდან სეზონის დასრულებამდე ყლორტზე ვტოვებ მხოლოდ თევზა ფოთოლს.

მაღალი მოსავლის მიღება შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ბეჯითი, თავდადებული შრომით, მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვით. ამაშია წარმატების „საიდუმლოება".

წელს, გამოვეხმაურე რა ზუგდიდელ მეჩაიეთა ინიციატივას ჩაის უხვი მოსავლის მიღებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ, მთელი რიგი დამატებითი ღონისძიებანი განვახორციელე. მართალია, ამინდი არახელსაყრელი იყო, მაგრამ წარმატებას მაინც მივაღწიე. მოკრეფილი მაქვს 8.744 კილოგრამი ჩაის ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 3.500 კილოგრამისა. მაგრამ ამით არ ვკმაყოფილდები. წლევანდელ სეზონში მოვკრეფ 11.000 კილოგრამ ჩაის ფოთოლს. მომავალში უკეთეს მაჩვენებლებს მოვიპოვებ ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

**ტატიანა ტყებუჩავა,**
ცხაკაიას რაიონის სოფელ ზანის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის ჩაის მკრეფავი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

---

# საგასტროლოდ საბჭოთა კავშირის ქალაქებში

საგასტროლო მოგზაურობიდან დაბრუნდა საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი, რომლის მხატვრული ხელმძღვანელია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კომპოზიტორი ვ. ცაგარეიშვილი.

საგასტროლო მოგზაურობასთან დაკავშირებით ანსამბლის დირექტორმა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ პ. მურღულიამ ჩვენს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

გასული წლების გასტროლებისაგან განსხვავებით, წლევანდელი გასტროლები იმით იყო საინტერესო, რომ ანსამბლი პირველად ეწვია ქალაქებს, სადაც იგი წინათ არ ყოფილა. ორთვენახევარზე მეტი ხნის განმავლობაში ანსამბლმა ქართული სიმღერებისა და ცეკვების საუკეთესო ნიმუშები გააცნო ჩვენი ქვეყნის 20-ზე მეტი ქალაქის მცხოვრებლებს. საგასტროლო კონცერტების წარმატებას შესრულებული სიმღერების გარდა დიდად შეუწყო ხელი საუკეთესოდ დადგმულმა ცეკვებმა. ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ანსამბლის მთავარ ქორეოგრაფს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ჯ. ბაგრატიონს.

ანსამბლი, რომლის შემადგენლობაში იყო 112 კაცი, 14 მაისს თბილისიდან გაემგზავრა. პირველი საგასტროლო კონცერტი ქ. იაროსლავლში გაიმართა. თუ რაოდენ დიდი წარმატება ხვდა აქ ქართველ მსახიობთა გამოსვლებს, ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სიმღერებისა და ცეკვების დიდი ნაწილი მაყურებელთა მოთხოვნით განმეორებით იქნა შესრულებული. ქ. შჩერბაკოვში გამართული კონცერტის შემდეგ ანსამბლი ქ. მურმანსკში გაემგზავრა. პირველი კონცერტი გაიმართა თევზის მრეწველობის მუშაკთა კულტურის სახლში. მურმანსკის ოლქში გავმართეთ 10 კონცერტი. ანსამბლი საშეფო კონცერტებით ესტუმრა მურმანსკის მეზღვაურებს. კონცერტების დამთავრების შემდეგ მეზღვაურები მადლობის ნიშნად მეგობრულად ეხვეოდნენ მოძმე ქართველ მსახიობებს. მასპინძელთა შორის იყვნენ ქართველი ხალხის შვილებიც.

შემდეგ ანსამბლი ეწვია კარელიის ასსრ დედაქალაქ პეტროზავოდსკს, სადაც მოსახლეობამ გულთბილი შეხვედრა მოგვიწყო. ანსამბლმა კონცერტები გამართა ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკში და მონაწილეობა მიიღო პიონერთა პარკის გახსნისადმი მიძღვნილ კონცერტში. საინტერესოა ისიც, რომ აქ შემოქმედებითი შეხვედრა მოგვიწყო კარელიის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა. ჩვენმა ანსამბლმა აქაც გამართა საშეფო კონცერტი — ოფიცერთა სახლში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საგასტროლო მოგზაურობისას გამართული საშეფო კონცერტებისათვის ჩვენ მივიღეთ მრავალი სიგელი.

ლენინგრადში გასტროლების დროს შევიტყვეთ სასიხარულო ამბავი იმის შესახებ, რომ ჩვენს კოლექტივს მიენიჭა დამსახურებული ანსამბლისა და ანსამბლის რამდენიმე წევრს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. ჩვენი სიხარული შეუერთდა ლენინგრადელთა ტრადიციულ დღესასწაულს — ს. მ. კიროვის სახელობის პარკში გამართულ „თეთრი ღამეების" გაცილების სადღესასწაულო საღამოს. ამ საღამოს ჩვენს კონცერტს 10 ათასამდე ლენინგრადელი დაესწრო. მაყურებლებმა გულთბილი და ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვეს ანსამბლის წევრები. 19 ივნისს მიგვიწვიეს ლენინგრადის სატელევიზიო სტუდიაში. კრონშტადტში ანსამბლმა გამართა საშეფო კონცერტი.

ჩვენი ანსამბლის გამოჩენა მოსკოვში ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. ანსამბლის რეორგანიზაციის შემდეგ (1953 წ.) ყოველ წელს იმართება კონცერტები მოსკოვში. ამჯერადაც ფართოდ მოვემსახურეთ სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეებს. „მწვანე თეატრი" ყოველთვის სავსე იყო ჩვენი ქვეყნის ყველა ეროვნების წარგზავნილებით. ისინი მაღალ შეფასებას აძლევდნენ ქართველ მსახიობთა მიერ შესრულებულ სიმღერებსა და ცეკვებს. მოსკოვში ყოფნის დროს ჩვენი ანსამბლი მიიწვიეს გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში გამართულ კომკავშირელთა დღესასწაულზე.

მოსკოვიდან ანსამბლი გაემგზავრა სამხრეთში და კონცერტები გამართა ყირიმის და ჩრდილოეთ კავკასიის კურორტებზე და ქალაქებში. ანსამბლმა საგასტროლო მოგზაურობა დაამთავრა სოჭში, ხოსტაში, გაგრასა, სოხუმსა და ბათუმში გამართული კონცერტებით.

გასტროლების დროს გამართულ სამოცამდე კონცერტს მაღალი შეფასება მისცა პრესამ. სისტემატურად იბეჭდებოდა რეცენზიები და საინფორმაციო წერილები ჩვენი გასტროლების შესახებ.

თბილისში დაბრუნების რამდენიმე დღის შემდეგ ანსამბლმა საგასტროლო პროგრამით კონცერტები გამართა თბილისში, ბოლნისში, გორში, კასპსა და რუსთავში.

ამჟამად ანსამბლი ემზადება მორიგი გასტროლებისათვის. მიმდინარე წლის ოქტომბერ-ნოემბერში იგი საგასტროლო კონცერტებით ეწვევა უკრაინას, ბელორუსიასა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს.



**სურათზე:** საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის დამსახურებული ანსამბლის წევრები კონცერტის დამთავრების შემდეგ ესაუბრებიან ჩრდილოეთის ფლოტის მეზღვაურებს.

---

# დიდი ვალდებულება... მუშაობის დაბალი ტემპი

### პუნქტის გამგის მოლოდინში

დღის პირველი საათია. სოფელ კორცხელის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში ჩაის № 1 ფაბრიკის ფოთლის მიმღებ პუნქტში თავი მოუყრია 25 კოლმეურნეს. ისინი აქ მოსულან ერთ კილომეტრ მანძილიდან, ჩასაბარებლად ნედლეული მოუტანიათ. მიმღები პუნქტის გამგე ჯ. ჯაკონია კი არსად ჩანს. გადის დრო და ფოთლის ჩამბარებელთა რაოდენობა იზრდება.

2 საათი შესრულდა. პუნქტის გამგე ჯ. ჯაკონია ძლივს გამოჩნდა. მას არც კი გაჰკვირვებია კოლმეურნე ჩამბარებელთა რიგები. ეს მისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა!

— რა ვქნათ, დღეს ჩაის პირველ ფაბრიკაში დილიდან თათბირი გვქონდა და ამიტომ დავიგვიანე, — გულდამშვიდებით განაცხადა პუნქტის გამგემ.

პარტიის ზუგდიდის რაიკომის მდივანთან მტს-ის ზონაში ა. კუტალიასთან ერთად ვნახეთ, რომ 18 აგვისტოს მეოთხე ბრიგადის (ხელმძღვანელი ა. როგავა) მესამე რგოლის (ხელმძღვანელი მ. თორდია) წევრები გ. თორდია, ვ. ბელქანია, ნ. თორდია და სხვები — სულ 25 კოლმეურნე — 3 საათზე მეტ ხანს გაცდნენ მიმღები პუნქტის გამგის მოლოდინში.

ასეთი მუშაობის შედეგად სოფელ კორცხელის კოლმეურნეობამ 18 დღეში მხოლოდ 85.813 კილოგრამი ჩაის ნედლეული მოკრიფა. ეს კი აგვისტოს გეგმის 32,7 პროცენტს შეადგენს. მაგრამ ეს ოდნავაც არ აღელვებს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს რ. ფანთიას და პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანს დ. რაფავას.

სოფელ ჭაქვინჯის კოლმეურნეობა ჩამორჩენილია. მიუხედავად იმისა, რომ აქ ფოთოლი უხვად არის შემოსული, კრეფის ტემპი დაბალია. ნედლეული უხეშდება, დიდია დანაკარგები.

სოფელ ორჯონიკიძის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში ჩაის კრეფის საქმე კოლმეურნეობაზეა მინდობილი. აქ მუდამ ერთსა და იმავეს გაიძახიან: „რა ვქნათ, ფოთოლი არ არის შემოსული". ფაქტიურად კოლმეურნეობაში საკრეფად ფოთოლი არის, ხოლო მკრეფავები არ ჩანან. პირველი ბრიგადის წევრ რ. როგავასათვის მოსავლელად მიჩენილ 0,16 ჰექტარ პლანტაციას 4 დღეა მკრეფავების ხელი არ შეხებია. ფოთოლი გაუხეშდა.

კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ი. მესხის უდარდელობის შედეგად დღემდე პლანტაციაში მისასვლელი გზები შეუკეთებელია. გარდა ამისა, კოლმეურნეობას არ ჰყოფნის ტრანსპორტი ფოთლის გადასაზიდავად. ეს იყო მიზეზი, რომ პირველმა ბრიგადამ ორჯონიკიძის ჩაის ფაბრიკას 17 აგვისტოს დილით მოკრეფილი ფოთოლი ჩააბარა 18 აგვისტოს სამ საათზე.

ჩამორჩენას თავს ვერ აღწევენ ხეცერის საბჭოთა მეურნეობაში. აქ 613 ჰექტარი ჩაის პლანტაცია აქვთ. მეურნეობის დირექტორის მ. კვარაცხელიას აზრით ყოველდღიურად უნდა იკრიფებოდეს 20.000 კილოგრამი ფოთოლი, ფაქტიურად იკრიფება მხოლოდ 10.000 კილოგრამი. ფოთოლი უხვად არის შემოსული, მაგრამ მკრეფავები აკლიათ. საჭიროა დამატებით ასი მკრეფავი. ეს საქმე ვერ მოაგვარეს და აგვისტოს პირველი ნახევრის გეგმის შესრულება ჩაშალეს. ახლაც კრეფა ნელი ტემპით მიმდინარეობს.

### ჩაის ხარისხს სწორად არ განსაზღვრავენ

ჩაის ფაბრიკების მუშაკების ვალია დაეხმარონ კოლმეურნეობებს ჩაის კრეფის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში. სამწუხაროდ, ხშირად თავიანთს მოვალეობას ივიწყებენ. ეს პირველ რიგში ითქმის ორჯონიკიძის ჩაის ფაბრიკაზე. ამ ფაბრიკას სოფელ ჭაქვინჯის კოლმეურნეობამ ჩააბარა 20.157 კილოგრამი პირველი ხარისხის ფოთოლი. ეს სათანადო საბუთებით გააფორმეს, კოლმეურნეებს შრომადღეები დაურიცხეს. გავიდა სამი დღე და ფაბრიკის დირექტორი ა. ჯანაშია კოლმეურნეობას უგზავნის მიმართვას: ჩვენს მიერ ჩაბარებული ჩაი სსრკ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს ხარისხის ინსპექტორის პ. დარსაველიძის მიერ გადაყვანილია მეორე ხარისხში და შეიტანეთ ცვლილებები ურთიერთ ანგარიშში...(!).

საინტერესოა, ამ შემთხვევაში რა შუაშია კოლმეურნეობა. მან ხომ ფაბრიკას სათანადო საბუთით ჩააბარა პირველი ხარისხის ჩაის ნედლეული, თანაც აქტის შედგენას კოლმეურნეობის წარმომადგენელი არ დასწრებია. დაბალ ხარისხში გადაყვანამ გამოიწვია ის, რომ კოლმეურნეობამ 70.549 ათასი მანეთი იზარალა. ვინ გამოიწვია ეს ზარალი? ცხადია, ფაბრიკამ.

მსგავს ფაქტებს ვხვდებით კახათის ფაბრიკაშიც. სამწუხაროდ ასეთ ფაქტებს რაიონის ხელმძღვანელი ორგანოები ურიგდებიან.

### შეჯიბრების ინიციატორების სიტყვა საქმეს დაშორდა

ზუგდიდელები წელს სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებად გამოვიდნენ. მათ იკისრეს სეზონში მოკრიფონ 15.330.000 კილოგრამი ფოთოლი და ამით რესპუბლიკურ პრესაში ქება დაიმსახურეს. ზუგდიდელებმა ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის თავიდანვე ნელი ტემპი აიღეს. მაის-ივნისსა და ივლისში ვერ შეასრულეს სახელმწიფო გეგმა. ახლა, აგვისტოში, სურთ სამი თვის ჩამორჩენა დაძლიონ. მაგრამ საქმე, პირიქით, უკან მიდის.

რატომ არის ასეთი მდგომარეობა რაიონში? ჯერ-ერთი, მთლიანად არ არის გამოყენებული არსებული შესაძლებლობანი. მიუხედავად იმისა, რომ ფოთოლი არის და კრეფის ტემპი ყოველდღიურად უნდა ძლიერდებოდეს, იგი, პირიქით, კლებულობს. მაგალითად, 16 აგვისტოს რაიონში მოკრიფეს 112.065 კილოგრამი ჩაის ნედლეული, 17 აგვისტოს — 109.680 კილოგრამი. ეს მაშინ, როცა რაიონში ყოველდღიურად უნდა იკრიფებოდეს სულ მცირე 200-250 ათასი კილოგრამი ჩაი.

როგორც ვხედავთ, მდგომარეობა მეტად დამაფიქრებელია.

საინტერესოა, როგორ ფიქრობენ პარტიის ზუგდიდის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი დაძლიონ ჩამორჩენა, შეასრულონ ნაკისრი ვალდებულება?

**შ. ჭოჭუა,**
**გ. ნოდია,**
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტები.

---

## ჩამორჩენა გრძელდება

ქუთაისელმა მეჩაიეებმა თავი ვერ დააღწიეს ჩამორჩენას. მეჩაიეობის 13 კოლმეურნეობიდან უმრავლესობას სანახევროდაც არა აქვს შესრულებული ჩაის კრეფის დავალება. 20 აგვისტოსათვის რაიონის კოლმეურნეობებს მოკრეფილი ჰქონდათ 525 ტონა, წლიური გეგმა 950 ტონა ფოთლის მოკრეფას ითვალისწინებს.

სოფელ რიონის კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობა, სადაც ჩაი წამყვანი კულტურაა, სამარცხვინოდ ჩამორჩა. 20 აგვისტოსათვის აქ მოკრეფილი ჰქონდათ 116 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 217 ტონისა. იმისათვის, რომ კოლმეურნეობამ დაფაროს დანაკლისი და გეგმა შეასრულოს, საჭიროა ყოველდღიურად მოკრიფოს სულ ცოტა სამი ტონა, ფაქტიურად ამის მეათედსაც ვერ კრეფენ. 18 და 19 აგვისტოს კოლმეურნეები მასობრივად არ გამოსულან ჩაის საკრეფად, რადგან ისინი რელიგიურ დღესასწაულს „ფერისცვალობას" იხდიდნენ: ორი დღე და ღამე გადაბმული ქეიფის შემდეგ, 20 აგვისტოს პლანტაციებში თითო-ოროლა ქალი გამოჩნდა. როგორც მოსალოდნელი იყო, იმ დღეს მოკრეფილ იქნა მხოლოდ 100 კილოგრამი.

ოფურჩხეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც 120 ჰექტარი ჩაის პლანტაცია აქვთ, გეგმა შესრულებულია მხოლოდ 51,3 პროცენტით. აქ 19 აგვისტოს არც ერთი ქალი არ გამოსულა სამუშაოდ. კოლმეურნეობის ხელმძღვანელებმა პლანტაციების „შესვენება" მოაწყეს.

საკოლმეურნეო შრომაში ათობით ქალი სრულებით არ იღებს მონაწილეობას. მართალია, ჩაის კრეფის სეზონისათვის კოლმეურნეობაში გაიხსნა 3 საბავშვო ბაგა, მაგრამ რატომღაც არც ერთი მათგანი არ არის გამოყენებული დანიშნულებისამებრ.

უონეთის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობაში წლიური გეგმის შესრულებას საფრთხე მოელის, მაგრამ ტემპის გაძლიერების ნაცვლად მუშაობას ანელებენ. მაგალითად, 16 აგვისტოს აქ მოკრიფეს 1.900 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, 17 აგვისტოს — 1.000 კილოგრამი, ხოლო 18 აგვისტოს — 630 კილოგრამი.

რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ქმედითი ღონისძიებანი უნდა განახორციელონ ჩამორჩენის გამოსწორებისათვის.

**გ. მეფისაშვილი,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

---

## ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადება

რესპუბლიკაში ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი კვლავ დაბალია. აგვისტოში წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით უნდა მოიკრიფოს 39.012,6 ტონა ჩაის ნედლეული, ფაქტიურად 21 აგვისტოსათვის მოკრეფილი იყო 14.741,2 ტონა ჩაი, რაც დავალების 37,8 პროცენტს შეადგენს. ჩაის ფოთლის კრეფა-დამზადების წლიური გეგმა კი შესრულებულია 71,2 პროცენტით.

ბათუმის რაიონში ჩაის ნედლეულის კრეფის აგვისტოს დავალება შესრულებულია 41 პროცენტით, ქობულეთის — 39,8, გალის — 34,4, ოჩამჩირის — 38,6, გულრიფშის — 41,1, სოხუმის — 34,2, გუდაუთის — 35, მახარაძის — 44,1, ჩოხატაურის — 55,7, ლანჩხუთის — 29,3, სამტრედიის — 30,3, წულუკიძის — 26,3, ქუთაისის — 18,6, წყალტუბოს — 31,9, ტყიბულის — 26,9, ცხაკაიას — 31,5, აბაშის — 31,2, გეგეჭკორის — 35,2, ზუგდიდის — 35,8, წალენჯიხის — 42,5, ჩხოროწყუს — 44,7, ხობის — 36,3, თერჯოლის — 16,7, ხოლო ზესტაფონის რაიონში — 8,8 პროცენტით.

## რუმინეთის განთავისუფლების მე-12 წლისთავი

### საზეიმო კრება ბუქარესტში

ბუქარესტი, 22 აგვისტო. (საკდესი). დღეს ბუქარესტში გაიმართა დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლების საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა ფაშისტური უღლისაგან რუმინეთის განთავისუფლების მე-12 წლისთავს. კრების დამსწრეთა შორის იყვნენ: რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. გეორგიუ-დეჟი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კივუ სტოიკა და პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელები, წარმოების მოწინავეები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, უცხოელი სტუმრები, რომლებიც 23 აგვისტოს დღის დღესასწაულზე ჩამოვიდნენ, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი რუმინეთში ა. ა. ეპიშევი და დიპლომატიური კორპუსის სხვა წევრები.

კრებაზე მოხსენება რუმინეთის განთავისუფლების მე-12 წლისთავის შესახებ გააკეთა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის მდივანმა ა. ბუნაჩიუმ. 23 აგვისტოს დღემ, თქვა მომხსენებელმა, ჩვენს ხალხს გაუხსნა ახალი ცხოვრების, ნამდვილი დემოკრატიული წყობილების გზა. ჩვენი შრომისმოყვარე მუშათა კლასი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით აღფრთოვანებით შრომობს იმ ამოცანების განხორციელებისათვის, რომლებიც პარტიის ყრილობამ დასახა. საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 1956 წლის პირველ ნახევარში მთლიანად სოციალისტურმა მრეწველობამ 104 პროცენტით შეასრულა.

ილაპარაკა რა სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნაზე, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის შვიდ თვეში მშრომელ გლეხთა კიდევ 200 ათასი ოჯახი, დარწმუნდა რა კოლექტიურ მეურნეობათა და სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა უპირატესობაში, დაადგა სოციალიზმის გზას. პირველი აგვისტოსათვის რუმინეთში ითვლებოდა 9.672 კოლექტიური მეურნეობა და სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა.

რუმინეთის მუშათა პარტია, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებისა და ხალხის ინტერესების ერთგულია, განაგრძო ა. ბუნაჩიუმ, არის მოწინავე ძალა, რომელიც ხელმძღვანელობს მშრომელთა ბრძოლას სოციალიზმისათვის. პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენმა ხალხმა მოიპოვა თავისუფლება, საკუთარ ხელში აიღო თავისი ბედი, აშენებს ახალ ცხოვრებას და განუხრელად აძლიერებს სიფხიზლეს. ჩვენი ქვეყნის მშრომელები თვალისჩინივით უფრთხილდებიან თავიანთ რევოლუციურ მონაპოვარს. მსოფლიოში არ არის ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს გადაახვევინოს რუმინელ ხალხს სოციალიზმის გზიდან.

შეეხო რა საგარეო პოლიტიკის საკითხებს, მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დღეს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა აქტიური ფაქტორია მოქმედებაში, რომელიც ჩადგება საერთაშორისო პლანით ხალხთა მშვიდობისა და თანამშრომლობისათვის. რუმინელ ხალხს სოციალისტური ქვეყნების თანასაზოგადოების განმტკიცების საქმე მიაჩნია წმიდა საქმედ, რომელიც იგივეა, რაც მისი ძირითადი ეროვნული ინტერესები. რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა გამსჭვალულია მისწრაფებით თავისი წვლილი შეიტანოს საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელებისათვის, მშვიდობის განმტკიცებისათვის, სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

ამთავრებს რა თავის მოხსენებას, ა. ბუნაჩიუ გამარჯვებას უსურვებს რუმინეთის მუშათა პარტიას და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას, მსოფლიო სოციალისტური სისტემის ქვეყნების ძმურ თანამშრომლობასა და ურღვევ მეგობრობას საბჭოთა კავშირის მეთაურობით, მშვიდობას მთელ მსოფლიოში.

კრების მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი დეპეშა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი.

## ბუქარესტში გვირგვინებით შეამკეს საბჭოთა და რუმინელი მეომრების ძეგლები

ბუქარესტი, 22 აგვისტო. (საკდესი). რუმინეთის განთავისუფლების მე-12 წლისთავის გამო დღეს ბუქარესტში საზეიმო ვითარებაში გვირგვინებით შეამკეს მოძმე რუმინელი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლებში დაღუპული საბჭოთა მეომრების ძეგლი და თავისი სამშობლოს განთავისუფლებისათვის დაღუპული გმირი რუმინელი მეომრების ობელისკი. გვირგვინები იყო რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსაგან, დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმისაგან, ბუქარესტში მყოფი დიპლომატიური კორპუსისაგან უნგრეთის საპარლამენტო დელეგაციისაგან, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სამინისტროსაგან, მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან.

გვირგვინებით შემკობის ცერემონიას დაესწრნენ გ. გეორგიუ-დეჟი, კივუ სტოიკა, ი. კიშინევსკი და პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელები, რუმინეთში აკრედიტებული საელჩოთა და მისიათა მეთაურები, უცხოეთის სამხედრო ატაშეები.

## რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ბუქარესტი, 22 აგვისტო. (საკდესი). როგორც პრესა იუწყება, 21 აგვისტოს გაიმართა რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა განიხილა ზაფხულის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მსვლელობის საკითხი და მიიღო გადაწყვეტილებანი, რომელთა მიზანია რუმინეთში პურეულის გალეწვის უსწრაფესად დამთავრება და პურის დამზადებისა და შესყიდვის დარგში დავალებათა ვადაზე მთლიანად შესრულება, აგრეთვე შემოდგომის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულება.

## ლონდონის კონფერენცია სუეცის არხის საკითხზე

ლონდონი, 22 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.). როგორც უკვე ვიუწყებოდით, კონფერენციის თავმჯდომარემ ს. ლოიდმა ნახევარი საათის შესვენება გამოაცხადა, რათა დელეგაციებს შეძლებოდათ მოეფიქრებინათ კონფერენციის შემდგომი მუშაობის საკითხი.

შესვენების დამთავრების შემდეგ, ავსტრალიის წარმომადგენლის წინადადებით, მიიღეს გადაწყვეტილება სხდომა კიდევ ერთი საათით გადაედოთ.

მეორე შესვენების შემდეგ, რაც დასჭირდა იმ ქვეყნების წარმომადგენელთა ფარულ მოლაპარაკებას, რომლებიც მხარს უჭერენ ამერიკის წინადადებებს, ახალი ზელანდიის წარმომადგენელმა უეცრად შეიტანა წინადადება არჩეულ იქნას იმ ქვეყნების წარმომადგენლებისაგან, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ამერიკის პროექტს, ერთგვარი რაოდენობა დელეგატებისა, რომლებსაც მიენდოთ წარუდგინონ ეგვიპტეს ამერიკის წინადადებანი.

ჯ. დალესმა დაუყოვნებლივ დაუჭირა მხარი ახალი ზელანდიის წინადადებას, რომელიც აშკარად იყო მიმართული იქითკენ, რომ უგულებელეყოთ მეორე თვალსაზრისი, რაც გამოთქმული იყო ინდოეთის დელეგაციის პროექტში, რომელსაც მხარი დაუჭირეს საბჭოთა კავშირმა, ინდონეზიამ და ცეილონმა.

უპრეცედენტო მანევრმა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ და მისი პოზიციის მომხრეებმა მიმართეს, გამოიწვია ხანგრძლივი და მწვავე დისკუსია, რომლის მსვლელობაში საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაურმა დ. ტ. შეპილოვმა გაილაშქრა ახალი ზელანდიის წინადადების წინააღმდეგ, რომლის მიზანია გააღრმავოს ის ცალმხრივობა და ტენდენციურობა, რომელმაც თავი იჩინეს კონფერენციის მოწყობისასვე, და გათიშოს იგი ორ ნაწილად.

ინდოეთის დელეგაციის მეთაურმა კ. მენონმა და ცეილონის დელეგაციის მეთაურმა კორეამ აგრეთვე კატეგორიულად გაილაშქრეს ახალი ზელანდიის წინადადების წინააღმდეგ და აღნიშნეს, რომ იგი არ შეესაბამება კონფერენციაში მათი მონაწილეობის სულისკვეთებას.

ჯ. დალესმა, ს. ლოიდმა და კ. პინომ, რომლებიც მიემხრნენ ახალი ზელანდიის წინადადებას, ვერ მოახერხეს დღევანდელ სხდომაზე მიეღებინებინათ იგი, რასაც აშკარად ესწრაფოდნენ. ხანგრძლივი კამათის შემდეგ გადაწყდა — სხდომა შეწყდეს ხვალამდე.

ლონდონი, 23 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს სუეცის არხის საკითხზე თათბირის მონაწილეები შეიკრიბნენ მორიგ სხდომაზე, რათა განეგრძოთ აზრთა გაზიარება იმ წინადადებათა შესახებ, რომლებიც თათბირს წარუდგინეს ინდოეთის დელეგაციამ და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ.

წარმოდგენილ პროექტებზე თავიანთი შეხედულებანი გამოთქვეს ინგლისის, საფრანგეთისა და ინდოეთის წარმომადგენლებმა. ინგლისის წარმომადგენელმა სელვინ ლოიდმა და საფრანგეთის წარმომადგენელმა კ. პინომ მოიწონეს ამერიკის პროექტი. ინდოეთის დელეგაციის მეთაურმა კ. მენონმა მოუწოდა დამსწრეთ არ დაუჭირონ მხარი ამერიკის შეერთებული შტატების პროექტს, რადგან ეს პროექტი არ ითვალისწინებს არხზე ეგვიპტის კანონიერ უფლებებს და არათუ არ უხსნის გზას ეგვიპტესთან მოლაპარაკებას, არამედ, პირიქით,ახშობს ამ გზას.

კ. მენონმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინდოეთის დელეგაციის წინადადებებს საფუძვლად უდევს ეგვიპტის სუვერენული უფლებების გათვალისწინება და შეიძლება გახდეს სუეცის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების, არხში ნაოსნობის თავისუფლების უზრუნველყოფის ბაზა.

თავმჯდომარე ს. ლოიდმა აღნიშნა, რომ კონფერენციის ყველა მონაწილემ უკვე გამოთქვა თავისი დამოკიდებულება წარმოდგენილი პროექტებისადმი და გამოაცხადა შესვენება ნახევარი საათით, რათა დელეგაციებმა მოიფიქრონ კონფერენციის შემდგომი მუშაობის საკითხი.

## დ. ტ. შეპილოვი შეხვდა მ. სიგემიცუს და ს. მაცუმოტოს

ლონდონი, 22 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა დ. ტ. შეპილოვმა მიიღო ლონდონში მყოფი იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი მ. სიგემიცუ და სრულუფლებიანი წარმომადგენელი ს. მაცუმოტო და საუბარი ჰქონდა მათთან.

## საბჭოთა ხალხის საჩუქარი იუგოსლავიის ხალხებისადმი

ბელგრადი, 22 აგვისტო. (საკდესი). დღეს დილით ბელგრადის ნავსადგურში მოვიდა კარჭაპების ქარავანი, რომელიც მოიყვანა საბუქსირო თბომავალმა „პოლტავამ". ტრიუმებში და გემბანებზეა ტრაქტორები, კომბაინები და სასოფლო-სამეურნეო მანქანები. ეს არის ტიპური მანქანა-ტრაქტორთა სადგური—იუგოსლავიის ხალხებისადმი საბჭოთა ხალხის საჩუქარი, რომელიც საბჭოთა მთავრობამ უძღვნა საბჭოთა კავშირში იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტ იოსიპ ბროზ ტიტოს ყოფნის დროს.

კომპლექსური მტს-ი შეიცავს 65 ტრაქტორს, 35 მარცვლეულის კომბაინს, 32 სიმინდის ასაღებ კომბაინს, 12 სამკალ მანქანას, 16 სატვირთო ავტომანქანას, კომბაინების დამხმარე 18 მანქანას, მტს-ის სახელოსნოს მოწყობილობას, სათადარიგო ნაწილებს, მტს-ის ობიექტების ტიპურ გეგმებს, კლუბის მოწყობილობას და სხვ.

მტს-ი განლაგდება რუმაში (ვოევოდინა), რაიონში, რომელმაც ფართო პოპულარობა მოიპოვა სერბიის სახალხო-განმათავისუფლებელი ომის პერიოდში.

ნავსადგურში მოვიდნენ სერბიის აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარე იოვან ვესელინოვი, სერბიის აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარის მოადგილე ვოია ლეკოვიჩი, საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს წევრი ნიკოლა მინჩევი, იუგოსლავიის ცენტრალური კოოპერაციული კავშირის თავმჯდომარე რისტა ანტუნოვიჩი, ბელგრადის რაიონული სახალხო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე იოვან იანკოვიჩი და სხვა ოფიციალური წარმომადგენლები, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ნ. პ. ფირიუბინი.

მას შემდეგ, რაც სტუმრებმა კარჭაპებზე დაათვალიერეს მტს-ის მანქანები და მოწყობილობა, ნავსადგურში გაიმართა მიტინგი. სსრ კავშირის ელჩმა ნ. პ. ფირიუბინმა, გადასცა რა საბჭოთა კავშირის საჩუქარი იუგოსლავიის ხალხებს, თქვა:

— საბჭოთა ხალხის ეს საჩუქარი იუგოსლავიის ხალხებისადმი წარმოადგენს ჩვენს ხალხებს შორის ძმური მეგობრობის, საუკუნო მეგობრობის სიმბოლოს.

საჩუქრის მიღებისას სერბიის აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარემ იოვან ვესელინოვმა თქვა:

— უკანასკნელ წლებში საბჭოთა მთავრობამ და საბჭოთა ხალხმა ბევრი რამ გააკეთეს იმისათვის, რომ დაემტკიცებინათ, თუ რა ძვირფასია მათთვის მეგობრობა იუგოსლავიის ხალხებთან. ჩვენ გვაკავშირებდა ერთობლივი ბრძოლა ომის პერიოდში და ომისშემდგომ ღონისძიებებში. ჩვენ ძალიან გვახარებს ეს საჩუქარი. იგი გამოხატავს საბჭოთა ხალხისა და საბჭოთა მთავრობის სიყვარულს იუგოსლავიის ხალხებისადმი. იგი ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების მეგობრობის განმტკიცებას. ჩვენ ვიღებთ ამ საჩუქარს, როგორც ჩვენი ქვეყნების მეგობრობის განმტკიცების სიმბოლოს. მადლობას ვუძღვნით საბჭოთა ხალხს და საბჭოთა მთავრობას საჩუქრისათვის, ჩვენი ხალხების მეგობრობის განმტკიცებისადმი მისწრაფებისათვის.

გაუმარჯოს მეგობრობას საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ხალხებს შორის!

ტაშის გრიალში მძლავრი ამწე იღებს ერთი კარჭაპის გემბანიდან სიმინდის ასაღებ კომბაინს.

## კანონიერი გუშაგი



აღსრულდა ეგვიპტელი ხალხის ოცნება. სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაციით ეგვიპტემ განახორციელა კანონიერი უფლება — თავისი ხალხის ინტერესებისათვის გამოიყენოს ეროვნული სიმდიდრე. ამიერიდან სუეცის არხი აღარ იქნება უცხოელ კაპიტალისტთა გამდიდრების წყარო, იგი ხელს შეუწყობს ეგვიპტელი ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებას.

ცხადია, ეგვიპტის მთავრობის გადაწყვეტილება სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაციის შესახებ არ მოსწონთ ინგლისელ, ფრანგ და ამერიკელ მონოპოლისტებს, რომლებიც მიჩვეული არიან ჩაგრულ ხალხთა ნაოფლარით გამდიდრებას. ამას მოწმობს სუეცის არხის საკითხზე ლონდონის კონფერენციის მიმდინარეობა. ცნობილია ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა პოზიცია. გამოქვეყნდა ეგრეთწოდებული „დალესის გეგმა". ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი თითქოს მზრუნველობით ლაპარაკობს ეგვიპტის სუვერენიტეტისადმი პატივისცემაზე, ეგვიპტის უფლებებზე, მაგრამ მის მიერ წამოწყებული „პრინციპები" გამორიცხავენ ეგვიპტის სუვერენიტეტსა და უფლებებს. დალესი მოითხოვს შეიქმნას საერთაშორისო ორგანო, რომელმაც უნდა „მართოს", „ექსპლოატაცია გაუწიოს" და „განავითაროს" სუეცის არხი. ერთადერთი მოწყალება, რასაც დალესის დეკლარაცია შეიცავს, ის არის, რომ ეგვიპტეც წარმოდგენილი უნდა იყოს ამ ორგანოში.

ინდოეთის წარმომადგენელმა მენონმა, გამოხატა რა მთელი პროგრესული კაცობრიობის სურვილი, შეიტანა წინადადება, რომელიც მოითხოვს, რომ სუეცის არხს განაგებდეს ეგვიპტე და არა საერთაშორისო ორგანო. დაინტერესებულ სახელმწიფოთა ინტერესების დასაცავად ინდოეთის წინადადებით უნდა შეიქმნას საერთაშორისო საკონსულტაციო ორგანო, რომელსაც უფლება არ ექნება ხელყოს ეგვიპტის სუვერენიტეტი.

ლონდონის კონფერენცია მუშაობას განაგრძობს. ეგვიპტის წარმომადგენლები კონფერენციას არ ესწრებიან. სუეცის არხი ნორმალურად მუშაობს. იგი ნამდვილი პატრონის საიმედო ხელშია. ეგვიპტელ ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ბოლომდე დაიცვას თავისი ეროვნული ინტერესები.

სურათზე: პორტ-საიდი. ეგვიპტელი გუშაგი სუეცის არხის ნაციონალიზებული კომპანიის შენობასთან.

საკდესის ფოტოქრონიკა.

## ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადება გერმანიის კომპარტიის აკრძალვის გამო

პრაღა, 22 აგვისტო. (საკდესი). გერმანიის კომპარტიის აკრძალვასთან დაკავშირებით ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

გერმანიის კომპარტიის აკრძალვა მიმართულია მთელი გერმანელი ხალხის ინტერესების წინააღმდეგ, რაც უაღრესად ართულებს გერმანიის მშვიდობიან გაერთიანებას დემოკრატიულ საფუძველზე. იგი მიმართულია ევროპის დანარჩენი ქვეყნების წინააღმდეგ, რადგან ისტორიული გამოცდილება გვასწავლის, რომ გერმანიის პროგრესული და დემოკრატიული ძალების უხეში ჩახშობა მუდამ იყო წინაპირობა გერმანული იმპერიალიზმის აგრესიის გასაჩაღებლად გერმანიის მეზობლების წინააღმდეგ. სწორედ ამაზე ფიქრობს ახლა ჩეხოსლოვაკიის ხალხი. უკვე ერთხელ, 1933 წელს, ჯერ აკრძალეს კომუნისტური პარტია, რომ შემდეგ უფრო ადვილად ჩაეხშოთ გერმანიის დანარჩენი დემოკრატიული ძალები, ფეხქვეშ გაეთელეს თავისუფლება და საფრთხე შეუქმნეს მის მეზობლებს.

ჩვენი ხალხი გერმანიის კომუნისტური პარტიის აკრძალვას უდიდესი გულისწყრომითა და აღშფოთებით შეხვდა. მას გერმანიის კომპარტია მიაჩნია დასავლეთ გერმანიის ხალხის გმირ ავანგარდად და გერმანიისა და ჩეხოსლოვაკიის ხალხებს შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის თანმიმდევრულ მებრძოლად, მას არ დავიწყებია, რომ გერმანიის კომპარტიის ასეულ ათასობით საუკეთესო შვილმა სიცოცხლე შესწირა ბრძოლას ჰიტლერული ფაშიზმის წინააღმდეგ, ბრძოლას თავისუფლებისა და დემოკრატიის საერთო მიზნებისათვის.

1933 წლის გამოცდილება გამაფრთხილებელი გაკვეთილია ყველასათვის, ვინც ფიქრობს გერმანიის მომავალზე და მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებაზე. კომუნიზმის იდეების დამარცხება არ შეიძლება „მათი კანონგარეშე გამოცხადებით", ისევე როგორც არ შეიძლება მათი აკრძალვა და მოსპობა. გერმანიის კომუნისტურმა პარტიამ მოინელა ჰიტლერი. იგი მოინელებს ყველას, ვინც მას ახლა კრძალავს.

ჩვენი ხალხი ღრმა სოლიდარობას უცხადებს დასავლეთგერმანელ კომუნისტთა გმირულ ბრძოლას. ჩვენ კვლავაც დავუჭერთ მხარს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ღონისძიებებს სოციალიზმის მშენებლობის საქმეში, მის ბრძოლას გერმანიის მშვიდობიანი, დემოკრატიული გაერთიანებისათვის, ისევე როგორც დასავლეთ გერმანიის მთელი მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული ძალების ბრძოლას რემილიტარიზაციის წინააღმდეგ და ხალხის დემოკრატიულ უფლებებზე გალაშქრების წინააღმდეგ.

დასავლეთ გერმანიაში ფაშისტური ტენდენციების გაძლიერებას ჩვენი ხალხი უპასუხებს იმით, რომ კიდევ უფრო აამაღლებს თავის სიფხიზლეს, განამტკიცებს თავისი სამშობლოს ეკონომიურ ძლიერებას, გააფართოებს ინტერნაციონალურ კავშირს გერმანიის მშრომელებთან და ყველა ხალხთან, ვინც მშვიდობისათვის იბრძვის.

## თვითმფრინავი „ტუ-104" ბუქარესტში

ბუქარესტი, 22 აგვისტო. (საკდესი). დღეს ბუქარესტში ჩამოვიდა საბჭოთა რეაქტიული თვითმფრინავი „ტუ-104". თვითმფრინავზე იყვნენ რუმინელი ჟურნალისტები და სსრ კავშირის სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს წარმომადგენლები.

## მატჩი ინდონეზიელ ფეხბურთელებთან




როგორც წესი, საინტერესო სპორტულ შეხვედრებზე სტადიონი ყოველთვის სავსეა მაყურებლებით. ასევე იყო გუშინაც ინდონეზიის ეროვნული ნაკრებისა და თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა კოლექტივების საერთაშორისო ამხანაგური მატჩის დღეს.

ასპარეზობას წინ უძღვოდა საზეიმო ცერემონიალი. სტუმრებს მიესალმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ი. ბოჭორიძე. საპასუხო მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ინდონეზიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ბ-ნი მალადი.

ჟღერს ინდონეზიისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები. დინამოელებმა სტუმრებს თაიგულები უძღვნეს. პატივისცემისა და მეგობრობის ნიშნად ინდონეზიელმა სპორტსმენებმა ეს თაიგულები სტადიონის ტრიბუნებში გადაისროლეს.

მსაჯის სასტვენის ხმამ შეჯიბრების დაწყება გვამცნო. თამაშის პირველი წუთებიდანვე მეკარეები ჩაებნენ ასპარეზობაში. ორივე კართან არაერთხელ იქმნებოდა კრიტიკული მომენტები. მეექვსე წუთზე სტუმართა მარცხენა შუამარბმა ხელიდან გაუშვა ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა. ამის შემდეგ ერთი წუთი არც კი იყო გასული, რომ დინამოელებმა მარჯვენა ფრთიდან ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს. ხასაიას მიერ მიწოდებული ბურთი თავური დარტყმით ინდონეზიელთა კარში კალოევმა გაიტანა.

თბილისელთა პირველ წარმატებას სტუმრებმა კონტრშეტევით უპასუხეს. მოულოდნელი და ძლიერი დარტყმები ხშირად სახიფათო მდგომარეობაში აყენებდა დინამოელთა კარს.

რამდენიმე წუთის შემდეგ ინიციატივა კვლავ თბილისელებმა ჩაიგდეს და იგი ხელიდან დიდხანს არ გაუშვიათ. 31-ე წუთზე თბილისელებმა მეორე ბურთი გაიტანეს.

პირველი ტაიმი დამთავრდა თბილისელთა სასარგებლოდ ანგარიშით 2:0.

შეჯიბრების მეორე ნახევრის დასაწყისშივე სტუმართა კარში მესამე ბურთი აღმოჩნდა.

მეორე წუთზე თბილისელთა შეცდომა თავიანთი კარის წინ თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმით აღინიშნა. თუმცა ეს უდავო შესაძლებლობა ინდონეზიელმა ფეხბურთელებმა ვერ გამოიყენეს.

ამის შემდეგ თბილისელთა უპირატესობა აშკარა გახდა. მე-13 და მე-18 წუთებზე დინამოელებმა ორი ბურთი გაიტანეს სტუმართა კარში.

ინდონეზიელმა სპორტსმენებმა თამაში გააქტიურეს და პირველი ბურთი გაიტანეს თბილისელთა კარში, ხოლო თამაშის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე — მეორე.

ამრიგად, ეს საინტერესო მატჩი, რომელიც მეგობრულ და გულთბილ ვითარებაში მიმდინარეობდა, დამთავრდა თბილისის „დინამოს" გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 5:2.

• • •

**სურათზე:** თბილისის დინამოელები ინდონეზიელ ფეხბურთელებს თაიგულებს უძღვნიან.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

## ქალთა მსოფლიო პირველობა ჭადრაკში

22 აგვისტოს მოსკოვის მასწავლებლის სახლში გაიმართა მსოფლიოს ჩემპიონი ქალის წოდებაზე შეჯიბრების პირველი პარტია. თეთრებით თამაშობდა ელისაბედ ბიკოვა, შავებით — ლიუდმილა რუდენკო. შეჯიბრების მესამე მონაწილე ოლგა რუბცოვა ამ ტურში თავისუფალი იყო.

ბიკოვამ ორიგინალურად გაითამაშა პარტიის სადებიუტო სტადია და მტკიცედ ჩაიგდო ხელში ინიციატივა. 23-ე სვლაზე მსოფლიოს ჩემპიონმა გაბედულად შესწირა ხარისხი და ძლიერი იერიში მიიტანა შავების მეფის წინააღმდეგ. პარტია დაუმთავრებელი დარჩა.

ბიკოვას დიდი მატერიალური უპირატესობა აქვს.

• • •

მსოფლიოს სამი უძლიერესი მოჭადრაკე ქალის მატჩ-ტურნირში გათამაშდება 24 ტური. თვითეული მოჭადრაკე თავის მოწინააღმდეგესთან ითამაშებს 8 პარტიას. თუ ბიკოვამ ქულების ჯამით გაიყო პირველი-მეორე ადგილები შეჯიბრების ერთ-ერთ მონაწილესთან, მაშინ იგი ინარჩუნებს მსოფლიოს ჩემპიონის წოდებას.

შეჯიბრება გაგრძელდება 25 სექტემბრამდე. (საკდესი).

## სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში

სვერდლოვსკი, 22 აგვისტო. „ავანგარდის" სტადიონზე გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობაზე „ა" კლასის გუნდებს შორის. თამაშობდნენ ადგილობრივი ოფიცერთა სახლისა და მოსკოვის „სპარტაკის" გუნდები. ანგარიშით 3:1 გაიმარჯვეს სვერდლოვსკელებმა.

## ლექციები

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის საქალაქო განყოფილება აწყობს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საკავშირო საზოგადოების წევრის რ. რ. გრიგორიანცის (მოსკოვი) საჯარო ლექციებს რუსულ ენაზე — თემაზე: „სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა".

**24 აგვისტოს** საღამოს 6 საათზე პლეხანოვის სახელობის კლუბში (საბჭოს ქ. № 128).

**27 აგვისტოს** საღამოს 6 საათზე ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს კლუბში (მეორე რაიონი — შაუმიანის ქ. № 67).

**28 აგვისტოს** საღამოს 4 ს. 30 წუთზე თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კლუბში.

რედაქტორის მოადგილე
**ა. ჩავლეიშვილი.**


### დღეს თბილისის კინოთეატრებში

**რუსთაველის სახელობის, ამირანი** (საზაფხულო), **ოქტომბერი, სპარტაკი, ორჯონიკიძის სახელობის პარკი, ისანი** (საზამთრო), **კიროვის სახელობის პარკი, ვოროშილოვის სახელობის კლუბი, კომუნარების ბაღი** — ქუჩის სერენადა, **ამირანი** (საზამთრო), **ფილარმონიის ბაღი, თბილისი, კოლხიდა** (საზაფხულო), **პლეხანოვის სახელობის კლუბი** — რუხი ყაჩაღი, **კომკავშირელი, ისანი** (საზაფხულო), **26 კომისრის სახელობის** (საზამთრო) — მოუსვენარი გაზაფხული, **კოლხიდა** (საზამთრო), **ძერჟინსკის სახელობის კლუბი, გორკის სახელობის კულტურის სახლი** — შეუპოვარი გოგონა, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო) — გაზაფხულის ყინვები, **დიდუბე** (საზამთრო) — არის ასეთი ჭაბუკი, **დიდუბე** (საზაფხულო) — მექსიკელი, **კოლმეურნე** — საბჭოების ხელისუფლებისათვის, **ოფიცერთა სახლი** — გული უნდა დუმდეს, **მილიციის სამმართველოს ძერჟინსკის სახელობის საზაფხულო კლუბი** — რისხვის აღი.

### თბილისის „დინამოს" სტადიონი

26 აგვისტოს

**ფეხბურთი**

სსრ კავშირის პირველობა „ა" კლასის გუნდებს შორის

**„ზენიტი"** (ლენინგრადი) — **„დინამო"** (თბილისი)

დუბლიორთა შემადგენლობა დასაწყისი 4 საათზე.

**„ზენიტი"** (ლენინგრადი) — **„დინამო"** (თბილისი)

დასაწყისი 6 საათზე.

წვიმიანი ამინდის შემთხვევაში დუბლიორთა თამაში გადატანილ იქნება 26 კომისრის რაიონის სტადიონზე

ბილეთები წინასწარ გაიყიდება 25 აგვისტოს დილის 10 საათიდან თბილისის „დინამოს" სტადიონის სალაროებში.

მოქალაქე გრიგოლ ჯანოს-ძე ხაჩატუროვმა, მცხოვრებმა ორჯონიკიძის ქ. № 40-ბ, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე ქსენია ილიას ასულ მოსულიშვილთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე გრიგოლ კუზმას-ძე ზვიაგინცევმა, მცხოვრებმა ქ. თბილისში, მუხრანის ქ. № 17, აღძრა საქმე გარდაბნის რაიონის სოფელ მიხაილოვკაში მცხოვრებ მოქალაქე ვალენტინა ნიკოლოზის ასულ ტარასენკოვასთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ლენინის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე ზინაიდა პარმენის ასულმა ჯალაღანია-ნუცუბიძემ მცხოვრებმა მაიაკოვსკის ქ. № 116, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე ბორის გიორგის-ძე ნუცუბიძესთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კიროვის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.


მეუღლე პოლინე, შვილი გიორგი, რძალი თამარ, ძმები ლადო, ვალერიან, დები ქრისტინე, ოლღა, მარო ოჯახებით იუწყებიან

**თეოფილე გიორგის-ძე გოშაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25-VIII, 8 ს. გამოსვენება 26-VIII, 5 ს. მცხეთის ქ. № 100.

მეუღლე ნინო, შვილი გიორგი, სიძე ვ. ნაჭყებია შვილებით, ძმა ანდრო, დები ძუძუ, მარგო ოჯახებით იუწყებიან

**ლავრენტი გიორგის-ძე ჯანაშიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25-VIII, 8 ს. გამოსვენება 26-VIII, 5 ს. ორჯონიკიძის ქ. № 75.

დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის პედაგოგთა კოლექტივი იუწყება ამავე ტექნიკუმის მასწავლებლის

**თამარ ილიას ასულ ტურძელაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 26-VIII დიდ-ჯიხაიშში.

მეუღლე ანასტასია, შვილები ვლადიმერ, მიხეილ, ტარიელ, რძლები ნინო, სოფიო, ლენა, ციცინო ოჯახებით იუწყებიან

**ნიკოლოზ ხაჩინოს-ძე ფანჩვიძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-VIII, 6 ს. ხაშურში, გამოსვენება ბინიდან, ბრძოლის ქ. № 40.

მეუღლე სოლომონ, შვილები ბორის, ელზა, რძალი კ. თაყაიშვილი, ძმები გარეგინ, არტემ, და ეკატერინე ოჯახებით იუწყებიან

**ვარია გრიგოლის ასულ ლამბაროვას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 26-VIII, 5 ს. ბორჯომში, გამოსვენება ბინიდან, ბარათაშვილის ქ. № 7.

საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის თანამშრომლები იუწყებიან მუზეუმის დირექტორის

**ვასილ იაკობის-ძე ეგნატაშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 24-VIII, 8 ს. გამოსვენება 25-VIII, 5 ს. თარხნიშვილის ქ. № 11.

მეუღლე ელენე, შვილები მარიამ, პავლე იუწყებიან საქართველოს სს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის

**ამბროსი პავლეს-ძე სვანაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25-VIII, 8 ს. გამოსვენება 26-VIII, 5 ს. ნინოშვილის ქ. № 3.

ალიოშა, ნატა, ფლორენცია, ნორა, მარგო, პავლე ორბელაძეები შვილებით იუწყებიან

**მანია ნიკოლოზის ასულ ორბელაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 26-VIII სოფელ II სვირში (ზესტაფონის რ.).

**რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი:** თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90 სოფლის მეურნეობის — 3-20-43 კულტურისა და ყოფა-ცხოვრების ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების—3-64-42 გამოშვების—3-81 65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70.

უე 06312

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14